საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი, 2014 წელი.

№211 (7592)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუსთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იოსებ გიორგელიძის გაზაცება ② და სულიერი ხეიბრების ამბიციები



ლოდინს შეჩვეული „ბედნიერი ერის“ შვილები ③

დედაქალაქი პრობლემათა რკალში

- განა უსაქმურობისთვის დაიქირავა ხალხმა ჩინოსნები?!
- მოგვაშორეთ უპატრონო ძაღლები!

⑥

უკრაინა „გეოპოლიტიკურ ჩერნობილს“ ეწირება! ⑤

როკის გვირაბი და დარიალის ხეობა არ კმარა? ④

გვექნება დიდი მამულიშვილის სახელობის ფონდი ⑪



◎ დღის ამოჩაზურიდან

მელია მერიასთან

— ამ ნიკა მელიას მერია, მგონი, საქათმე ჰგონია!

— საკვირველია, რატომ ვერ ხვდება, რომ ხალხს მაგის მერობა რომ სდომოდა, მაგას აირჩევდნენ და არა ნარმანიას.

— ნამდვილად თავმოყვარეობა ღალატობს...

— თავმოყვარეობა არცროდის ჰქონია, და რამ უნდა უღალატოს?!

— ჯერ ისიც გამოსარკვევია, რა ბნელი საქმეებიც ჩადენილი აქვს მაგას აღსრულების ბიუროში თავმჯომარეობის დროს.

— ვინ არის გამომრკვევი, თორემ თავისი გუშინდელი დღის ცოტა შიში მაინც რომ ჰქონდეს, ამდენ ძალად მერობას და მერიის ისედაც ავად აფორრიაქებულ-აწრიალებული შუმი ნაციონალების ვაიწინამძღოლობას აღარ იკისრებდა.

— მაგის საქციელი, გენაცვალე, ნამდვილად ანტიკონსტიტუციურია, ქვეყანაში აშკარად ქაოსის შექმნას ისახავს მიზნად, ამიტომ ის რაღაც 115 მუხლი მაგაზე ზედგამოჭრილია.

— ასე თუ ისე, საქათმეს შეჩვეული მელიის ბოლო, რა თქმა უნდა, ხაფანგია.

P. S. ზოგ-ზოგთ (ხალხი ათასნაირია) ეგ მელია იქნებ სულად მერი ჰგონიათ, რადგან ქალაქში ადგილ-ადგილ ჯერ ისევ გამოკრულია მაგის ნ-ნომრიანი უზარმაზარი პორტრეტი (არჩევნებიდან კი თითქმის ოთხი თვე გავიდა!).

რეალური საფრთხის პირისპირ

გიორგი მარგველაშვილის საგანგებო მიმართვა პარლამენტს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტს მიმართავს, რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით პოზიცია შეიმუშაოს, რის შემდეგაც ის უშიშროების საბჭოს მოიწვევს, — ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

„ხელშეკრულება არის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ გადადგმული კიდევ ერთი უხეში ნაბიჯი. ასეთი შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება გააუარესებს უსაფრთხოებას შავი ზღვის აუზსა და კავკასიის რეგიონში. ხელშეკრულების გაფორმება ეწინააღმდეგება ჟენევის კონსულტაციების ფორმატსა და სულისკვეთებას. იგი საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ამ ხელშეკრულების ამოქმედების შემთხვევაში გაუარესდება ჰუმანიტარული ვითარება და ადამიანის უფლებების დაცვა რეგიონში. რეალური საფრთხის წინაშე დადგება აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, თვითდამკვიდრება და მომავალი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანო არის საქართველოს პარლამენტი, მივმართავ პარლამენტს, უსწრაფეს პერიოდში განიხილოს არსებული ვითარება და შეიმუშაოს პოზიცია. ამ პოზიციაზე დაფუძნებით ჩვენ მოვიწვევთ უშიშროების საბჭოს და დავგეგმავთ შემდგომ ნაბიჯებს ვითარების დასტაბილურებასთან დაკავშირებით. მივმართავ საერთაშორისო საზოგადოებას, უსწრაფესად, ადეკვატურად შეაფასონ ვითარება და მისცენ შესაბამისი რეაქცია ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შესახებ გადადგმულ ნაბიჯს“, — განაცხადა მარგველაშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნული თხოვნა პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან პარლამენტში გადაიგზავნა.

აფხაზები ნელ-ნელა ათვითცნობიერებენ, რომ სუვერენიტეტს კარგავენ

ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის გასაფორმებელ შეთანხმებას გარკვეულწილად „სუვერენიტეტის დაკარგვად“ აფასებენ და ნეგატიურად მიიჩნევენ თვითონ აფხაზი ე.წ. დეპუტატებიც.

როგორც აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის ე.წ. სპიკერი ვალერი ბგანბა „ეხო კავკაზასთან“ ინტერვიუში აცხადებს, ის შეთანხმება, რომელიც არსებობს რუსეთსა და აფხაზეთს შორის 2008 წლიდან, სავსებით მისაღებია, ხოლო ახალ დოკუმენტთან მიმართებაში „უფრო მეტია კითხვები, ვიდრე პასუხები“.

„ჩვენ ყველას ასეთი რეაქცია გვაქვს. ძალიან ბევრი კითხვაა და ყველა განიხილავს, აანალიზებს, ასწორებს. არ მინდა, გამოვიყენო ისეთი ფორმულირება, როგორიცაა „ნეგატიური“, მაგრამ დაახლოებით ასეთი რეაქციაა. იმიტომ, რომ ბევრ ადგილას საუბარია სუვერენიტეტის დაკარგვაზე და, ბუნებრივია, დეპუტატების რეაქცია დადებითი ვერ იქნებოდა, მიუხედავად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა. დეპუტატების მთელი შემადგენლობა, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ თანახმაა ასეთ რედაქციაზე“, — განაცხადა ბგანბამ.

მისი თქმით, როდესაც საუბარია ერთობლივი შეიარაღებული ძალების შექმნაზე, გაურკვეველია, შენარჩუნდება თუ არა აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო. ასევე, საუბარია საბაჟო კონტროლზე აფხაზეთის შიგნით, ანუ აეროპორტის (მისი ამუშავების შემთხვევაში) და პორტის კონტროლს რუსეთი განახორციელებს.

„საუბარია მთელი სასაზღვრო სამსახურის დისლოკაციის აფხაზეთ-საქართველოს საზღვრის მიმართულებით გადატანაზე. ყველა ის ტვირთი, რომელიც აფხაზეთში შემოდის სხვა ქვეყნებიდან, რუსული მხარის საბაჟო კონტროლქვეშ არ უნდა მოექცეს. ეს ჩვენი მებაჟეებისა და მესაზღვრეების საქმეა. ბევრი რამ გაუგებარია“, — განაცხადა ბგანბამ.

მისივე ინფორმაციით, ე.წ. პარლამენტში განხილვისას დოკუმენტის შესწავლა მოხდება იურისტებთან ერთად, იქნება არაერთი შენიშვნა, რომელიც 2 კვირის განმავლობაში დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციას წარედგინება.

„ვფიქრობ, გარკვეულ ცვლილებებს შევიტანთ თითქმის ყველა პუნქტში, პრეამბულის გარდა. პრეამბულა შესანიშნავია. ჩვენ ყველას გვესმის, რომ რუსეთთან ინტეგრაცია აუცილებელია, ის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო ჩვენ სუვერენიტეტზე უარი უნდა ვთქვათ“, — აღნიშნა აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის სპიკერმა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ მთავარი თემა

იოსებ გიორგელიძის გაჭაცება და სულიერი ხეიბრების ამბიციები



ვანო მერაბიშვილივით უწიგნურმა და უვიცმა ნაცების ყოფილმა პოლიციელებმა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა „თავისუფლად“, მოტყუებით შეაღწიეს რამინ გიორგელიძის ბინაში (19 წლის გულუბრყვილო ბიჭს იოსებს გაზისა თუ თელასის ინკასატორად წარუდგინეს თავი!), იარაღის მუქარის ქვეშ ბინიდან გამოათრიეს და მცხეთაში (არმაზის მიდამოებში) გადამალეს...

რამინ გიორგელიძე საკმაოდ ხელმადლიანი ბიზნესმენია, წყალტუბოში გაიზარდა, რუსეთში საკმაოდ სოლიდური კაპიტალი დააგროვა და თბილისში, გოთუას ქუჩაზე ბინაც შეიძინა... ბიჭის გატაცება სწორედ ამ ბინიდან მოხდა.

ნაცბანდის ორგანიზებულმა ოთხკაციანმა ჯგუფმა ფულის გამოძალვის მექანიზმი კარგად ვერ გათვალა, 300 000 დოლარის შეხვილიფებისას ელემენტარული შეცდომა დაუშვა და მთავარი ჩამშვების, კუდის ყოფილი თანამშრომლის, წყალტუბოელი დურმიშხან ღვაჩლიანის ხელდასხმით (სწორედ მან იცოდა, რომ რამინ გიორგელიძეს დიდი „მაყუთი“ ჰქონდა!) მახეში გაება. გაქნილი თაღლითები და გამოცდილი კრიმინალები ფულის აღების ფაქტზე დააკავეს და ვირის აბანოში მიაბრძანეს...

აღშფოთებულმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ღიად, ქვეყნის გასაგონად თქვა: აი, როგორი ხალხი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, აი, ვის ხელში იყო საქართველო. ასეთი გამტაცებლები, მკვლელები, ყაჩაღები მართავდნენ ქვეყანას... გასარკვევია, თუ ვინ დგას ამ გატაცების უკან და... მინისტრი ჭიკაიძე, მთელი სამინისტრო ამ ფაქტის გარკვევისთვის მუშაობენ.

მართლაც ერთობ საინტერესოა, თუ ვინ დგას ამ და მსგავსი მზაკვრული დანაშაულების უკან? ყველაფრისმკადრებელი ნაციონალები და მათი „ჭკვიანი“ ლიდერები ხომ არა?

პასუხი ერთმნიშვნელოვანი და მარტივია: ოპოზიციაში გადაბარგებული მთავარი ნაციონალი, დღეს უკვე ძებნილი მიხეილ საკაშვილი და მისი კარის არამზადები — გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ნუგზარ წიკლაური, გოკა გაბაშვილი, გოგა ხაჩიძე, ირმა ნადირაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, ბოლო დროს სამგლე გოჭივით მოხტუნავე, ქართული პოლიტიკის საყოველთაო სირცხვილი კობა ხაბაზი და მრავალი მისთანანი, ორი წელიწადია (არ დაგვავიწყდეს — აქედან ერთი წელიწადი მატყუარა მიშა პრეზიდენტის პოსტზე იყო!), ჩვენს ერსა და ბერს, „ქართული ოცნების“ იმედად დარჩენილ ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას **ყოველდღიურად ზნეობრივ და ფიზიკურ ჯოჯოხეთს გვიწყობენ.**

უკვე ათი წელიწადია ქვეყანაში გახმაურებული მკვლელობების, ძარცვა-ყაჩაღობის, სახელმწიფო ბიუჯეტის განიავების, ბიზნესის და კერძო საკუთრების მითვისების, მოსმენისა და დასმენის, ღარიბი მოსახლეობისთვის განკუთვნილი სატელევიზიო „თეფშების“ დაპატიმრების უკანაც კი ნაციონალი მაღალჩინოსნების გვარები ფიგურირებენ.

სულიერ-ზნეობრივი ჯოჯოხეთის მძიმე სენის გამავრცელებელი და ქართველი ხალხის სიტყვითმკვლელი, ერთდროს „დედალი“ პროკურორი და დღეს „რუსთავი-2“-ის გამამაძღლებული შეფი ნიკა გვარამიაა!

ყველაფრისმკადრებელი ნაციონალების ერთ-ერთმა სახემ, აფრასიძეების ოჯახის უღვთოდ გამანადგურებელმა გიორგი ბარამიძემ გაღმა შედავების და უზრდელობის კიდევ ერთი კლასიკური მაგალითი გვიჩვენა: **თუ ღარიბაშვილმა 19 წლის ბიჭის ირაკლი გიორგელიძის გატაცება მართლა ჩვენ დაგვაბრალა, მაშინ მე მას ვეტყვი, რომ ის არის უნამუსო ცილისმწამებელი და უკანასკნელი ნაძირალა!**

აუიე, შე მართლა ნაძირალა და სუპერდეგაგოგო, ნუთუ ვერ ხვდები, რომ მეძავი, ბოზი ქალივით მოლაყბე, ჩარეცხილი ნაციონალი ხარ და, ამის შემდეგ კიდევ უფრო შეძულდები ქართველ ხალხს!

დაახლოებით იგივე თქვა „სახალადეცე ღორის თავმა“ ნუგზარ წიკლაურმა და ირაკლი ღარიბაშვილის გულისტკივილით ნათქვამი შეფასება, ეჭვი, ვარაუდი საბჭოთა ეპოქის ძველი ჯალათების ნამოქმედარს შეადარა.

აშკარაა, რომ რასაც ბოლო დროს ნაცხროვა აკეთებს, ახალი მიშისტური თუ ნაცისტური რევოლუციის წინაპირობას ჩამოჰგავს. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ და ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არავითარ რევოლუციას და ამ სულიერი ხეიბრების ხელისუფლებაში მობრუნებას არ დაუშვებს, მაგრამ... სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ყოველგვარი სისაძაგლის მკადრებელი ნაცმოძრაობა, თუ გამოუვიდა, ახალ ეროვნულ ტრაგედიასაც არ მოერიდება.

ამიტომაც ითხოვს ხალხი ნაციონალური მოძრაობის გაძრობას პოლიტიკური არენიდან. უახლესმა ისტორიამ ამის არაერთი მაგალითი იცის.

„ქართულმა ოცნებამ“ ეს უნდა შეძლოს!

სპარტაკ ქოგულია

◎ ყველას თავისი მიეზღვება!

რატომ გაყუჩდა „რუსთავი-2“?

ანუ რად ვერ ამჩნევს ხშირად „დინოზავრს“ ბუზის სპილოდ გადაქცევის მოყვარულ-დიდოსტატი და ხელისუფლება-მაყურებლებისთვის ჯოჯოხეთის მოსაწყობად ერთთავად მზადმყოფი ეს ტელეკომპანია?

სიტყვის კაცი გამოდგა აშკარად ნიჭიერი და ინტელექტუალი ნიკა გვარამია, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო, პირგამეხებულმა რომ მოგვახალა ტელეეთერიდან.

თქმა და ქმნა ერთი იყო! ის კი არა, ხშირად იქნებ საქმე უსწრებს კიდეც სიტყვას — ტელეეკრანიდან ისეთ რაღაცებს ისმენ და ხედავ, რომ იტყვიან, ყურო, ნუ გაიგონებ და თვალო, ნუ დაინახავ!

ჯოჯოხეთი რა სახსენებელია, თურმე აპოკალიფსამდე ორიოდ ნაბიჯია!

მაგრამ თუ რაიმეს დანახვა და გაგონება მისთვის და მისი რეალური პატრონებისთვის არასასურველია, „რუსთავი-2“ ბრმა და ყრუ, რაიმეს დანახვისა და განსჯა-გაანალიზების ყოველგვარ უნარს მოკლებულია!

ყველამ ვიცით, რა ცეცხლი დაანთო მან (იგულისხმეთ ნაცმოძრაობა!) ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციის გამო, რომლის შინაარს-პათოსი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა კანდელაკ-თაქთაქიშვილის (იგულისხმეთ ნაცმოძრაობა!) სტილსა და რიტორიკას.



მაგრამ საკმარისი იყო, გამოსულიყო ამ დოკუმენტის ერთ-ერთი ავტორი, რომ „ობიექტური“ „რუსთავი-2“ უცებ გაყუჩებულიყო და თევზივით პირში წყალი ჩაეგუბებინა.

> **„მე რომ საქართველოს მთავრობაში ვიყო ან „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი პარლამენტში, აუცილებლად ვიტყოდი, რომ ეს „პარტიზანული“, ცალმხრივი რეზოლუციაა, რომელიც არაფერში არ გამოდგება“.**

და კიდევ ერთი ამონარიდი მისი ნაუბრიდან:

> **„ძალიან მაწუხებს, რას იტყვის ქართველი ხალხი იმ რეზოლუციაზე. ისინი იკითხავენ, არის კი ეს ნეიტრალური რაპორტი? მე მესმის მათი და მაწუხებს ეს საკითხი... სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი, რომ ჩვენ, ორი მომხსენებელი, მე და ლატვიელი ბორის სილევიჩი გამოვსულიყავით და გვეთქვა, რომ არ ვეთანხმებით ამ რეზოლუციას“.**

ეს სიტყვები მიქაელ აასტრუპ იენსენს ეკუთვნის, ზემოაღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთ ავტორს.

არ უნდა გაეცნო მისი ასეთი პოზიცია მაყურებლისთვის „რუსთავი-2“-ს, ამ, თავისივე მტკიცებით, ობიექტურ და მიუკერძოებელ (ისემც დაუმშვენდეს „ლოგო“!) ტელეკომპანიას?

უნდა გაეკეთებინა ეს, მაგრამ მის გეგმებში ასეთი რამ რომ ვერ „თავსდება“?

თუმცა მეც მაგარი ვინმე ვარ — რაც ალხანა, ის ჩალხანაო, იმისი არ იყოს, რა ობიექტურ-მიუკერძოებელიც ეს ტელეკომპანიაა, ისეთივეა მისი რეალური მეპატრონეების ერთ-ერთი „სახე“ გოკა გაბაშვილიც, რომელმაც, როცა მას ანალოგიური კითხვა დაუსვეს, **იენსენი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ერთი დეპუტატია, დანარჩენი ორასი კი იმ რეზოლუციას ემხრობაო, — ნირშეუცვლელად დაახეთქა!**

მოდი და ელაპარაკე ასეთ, ძალიან რბილად თუ ვიტყვით, გამომწვევ დემაგოგსა და თავხედს!

თუმცა რა უშავს, ყველას თავისი მიეზღება!

რუსლან რუსია

პონკრეტული მინისტრების უპასუხისმგებლო განცხადებებს რუსეთის უმძიმესი რეაქცია მოჰყვა

რუსეთთან ურთიერთობების დალაგების გარეშე, ჩვენ საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შანსს, — ამის შესახებ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შესაძლო ხელშეკრულების გაფორმების შეფასებისას განაცხადა.

— მე არაერთგზის გავაკეთე განცხადება და გავაფრთხილე ქართული პოლიტიკური ელიტა, რომ მათ მიერ გაკეთებული უპასუხისმგებლო განცხადებები პროცესებს დააჩქარებდა და სერიოზულ ჩიხში შეგვიყვანდა. ჩემი პროგნოზი ამჯერადაც გამართლდა და იმ უპასუხისმგებლო განცხადებებს, რომლებიც კეთდება კონკრეტული მინისტრების მხრიდან, რაც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ეხება, მოჰყვა უმძიმესი რეაგირება რუსეთის მხრიდან, რომლის შესახებაც ჩვენ რუსეთი თავის განცხადებებში ადრეც გვაფრთხილებდა. რამდენიმე კვირის წინ პირველად გაკეთდა განცხადება აფხაზეთთან რუსეთის ერთობლივ საჯარისო ფორმირების შესაძლო შექმნის თაობაზე, დღეს კი უკვე ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული ძვრები მოხდა. სწორედ ჩვენი ხელისუფლების არასწორი მოქმედებების, რუსეთთან რეალური პოლიტიკის არარსებობის გამო ხდება ამ პროცესების დაჩქარება, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია აბსოლუტურად არაადეკვატურია.

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აკეთებს განცხადებას, რომ აღნიშნული მოქმედებები ხელს შეუშლის რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზებას. რომელ ნორმალიზაციაზე ვლაპარაკობთ? მხოლოდ რამდენიმე ბოთლი ღვინის რუსეთის ბაზარზე გატანაზე? თუ ვლაპარაკობთ რეალურ ნორმალიზებაზე, რომელიც არც დაწყებულა და არც დაიწყება იმის გამო, რომ ჩვენ გუშინ და გუშინწინ კიდევ ერთხელ გავხდით თვალნათლივ მოწმენი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არ არსებობს ერთიანი გუნდი, ერთიანი პოზიცია, მათ შორის, ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა რუსეთთან ურთიერთობები. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ მავნებლურ განცხადებებს, რომლებიც შეიძლება არის რომელიმე სახელმწიფოს საამებელი, მაგრამ ნამდვილად არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს. ამის მაგალითი იყო განცხადებები ნატოს ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებასთან დაკავშირებით, თავდაცვის მინისტრის განცხადება ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებასთან დაკავშირებით, თუნდაც მის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თურმე რა გადაწყვეტილებას მიიღებს აფხაზეთის ე.წ ხელისუფლება. დიახ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც, რა თქმა უნდა, წარმოადგენს აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც დღეს აფხაზეთში ცხოვრობს და არ წარმოადგენს აფხაზეთიდან დევნილი ასიათასობით ადამიანის ინტერესებს, მაგრამ ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ რეალობას, ვესაუბროთ ამ ადამიანებს, მით უფრო ამ კონკრეტულ სიტუაციაში თავად აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამაც კითხვის ნიშნები გააჩინა. როდესაც ამას არ იყენებ და ამბობ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, როცა ვერ ბედავ იმას, რომ პირდაპირ დაელაპარაკო აფხაზეთის და ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, ეს ყველაფერი სწორედ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ის მოუწოდებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, „ჩავიდნენ აფხაზეთში და ოსეთში, დაელაპარაკონ ადგილზე მყოფ ადამიანებს“.

— ჩვენ რომ გვყავდეს რეალურად პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ხელისუფლება, დღეს უკვე პირდაპირი დიალოგი ამ თემებთან დაკავშირებით მოსკოვთან დაწყებული უნდა იყოს. მაგრამ ამას ვერავინ ბედავს ერთი მარტივი მიზეზის გამო, ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველაფერზე იყურება მოკავშირეების მიმართულებით, ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც დღესაც აცხადებს, რომ მალე დეოკუპაციის პროცესი დაიწყება საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლით. სამწუხაროდ, ეს არის ილუზია, ეს არის ჩვენი ხალხის მოტყუება. ვერავინ ვერ გააკეთებს ჩვენს გასაკეთებელ საქმეს და არც უნდა მოვთხოვოთ დასავლეთს, რომ ჩვენს მაგივრად იმოქმედონ. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქართველოს ხელისუფლება რომელი მიმართულებიდან წამოსულ დაკვეთას შეასრულებს, ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან. საქართველოს ხელისუფლება იმ საქმეს უნდა აკეთებდეს და იმ დაკვეთას ასრულებდეს, რომელიც მხოლოდ საქართველოს ინტერესებს შეესაბამება და მხოლოდ ქართველი ხალხისგან მოდის.

ცვლილების ნაპერწკალიც არ ჩანს



ლოდინს შეჩვეული „ბედნიერი ერის“ შვილები

ნაციონალების ათწლიან ბატონობას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ქართველთა „ბაბილონის ტყვეობა“. ეშმაკის ნაშიერები გამიზნულად ცდილობდნენ ერის მოწყვეტას მშობლიური ფუძიდან. ქართულს (ისტორიას, განათლებას, კულტურას) გამოუცხადეს ომი და მოკლე ხანში დიდი ტრიუმფით იზეიმეს გამარჯვება. ყველაფრისმცოდნეობის ამბიციებით მორაკრაკე „უსწავლმა სწავლულებმა“ ისტორიის დაუწერელ კანონებს სარკინოზული დაუნდობლობით შეუტიეს. გადამთიელ ჭკუის დამრიგებელთა სასიამოვნოდ ბრძოლა გამოუცხადეს ყოველივე არსებულს და გამოგვიცხადეს, რომ მათ ღვთაებრივ გამოჩენამდე, ქართველები ვიმყოფებოდით ქვის ხანაში და ვერ ვამჩნევდით. საუკუნოვანი სიბნელისაგან ერის გამოყვანა იტვირთეს საეჭვო განათლების აგრესიულ ტალღაზე ალესილმა ახალგაზრდებმა და უცხოელ მრჩეველთა ლოცვა-კურთხევით (ყოველ შემთხვევაში ასე ამართლებდნენ თავიანთ ბოროტ ქმედებას) ქარბორბალასავით გადაუქროლეს ქართულ განათლებას და მეცნიერებას და ისეთი დაღი დაასვეს, ადრინდელი მდგომარეობა სანატრელი გახადეს.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ განათლებასა და მეცნიერებაში გატარებული რეფორმების უმძიმეს შედეგებზე (მხოლოდ ლაპარაკობენ). როცა უნივერსიტეტის ნგრევა დაიწყეს, ერი დუმდა და ოვაციებით ხვდებოდა ბოროტების მთესველებს. სააკაშვილის გათხრილ უფსკრულში მიაქანებდა ქართულ სულიერებას წყევლად დატეხილი ლომაია, რომელმაც ქვეწარმავალის შეუპოვრობით გათელა და გააუფასურა ყოველივე სიწმინდე. ჯოჯოხეთის მაშხალები სიბნელისაკენ მიუძღოდნენ სისხლის წვიმებგამოვლილ საქართველოს. ბობოქრობდა ჟამიანობა, ღვთის რისხვამ დასეტყვა კოლხეთ-იბერია. ადამიანები იმდენად დაპატარავდნენ, რომ შინაარსი ნაცისტების დამახინჯებულ ზნეობრივ მოდელს დაუქვემდებარეს და იქცნენ ბოროტების ტაშის დამკვრელებად. არსებულის მსხვრევა-გაუფასურება ხდებოდა ბრბოდქცეული ერის „მიშა-მიშას“ აკომპანიმენტით. ცრუპატრიოტიზმი საღდებოდა ჭეშმარიტ მამულიშვილობად. პროტესტის გამომთქმელები მოკვეთეს, როგორც კეთროვნები და გამოაცხადეს წარსულის გადმონაშთებად. წლების მანძილზე ჯიჯგნიდნენ განათლებას და მეცნიერებას და უახლოვდებოდნენ „ევროპულ“ სიმაღლეებს. ლომაიას სიცრუეზე დამყნობილმა შაშკინის ბლეფმა კიდევ უფრო შორს გატყორცნა რეფორმისტული გაუგებრობის სახელი (ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან არ ამოიშლება მწიგნობართუხუცეს შაშკინის მიერ ინგლისური ენის მასწავლებელთა „მოწვევა“). სიყალბესა და ნაცრის ფრქვევას ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება დაერქვა (სინამდვილეში სააკაშვილ-ლომაია-შაშკინის „მოდერნისტული გამჭრიახობის წყალობით, მეცნიერება და განათლება უფსკრულის შუაგულში აღმოჩნდა. თუმცა, არც ახლაა კარგ დღეში). კატასტროფა ნაცისტებმა „ბრძნული“ საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარ მიღწევად მიითვალეს.

ქართველი ნაცისტები ერთი წუთითაც არ დაფიქრებულან, რა არის ადამიანის მინიერი დანიშნულება. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების მთავარ ორიენტირად გამოაცხადეს უცხოელ მრჩეველთა რეკომენდაციები, მორგებული ნაცისტების გაუკუღმართებულ და თვალთმაქცურ პატრიოტიზმს. სახელმწიფოს მასულმდგმულებელ და გზის მანათობელ ვარსკვლავად დაგვისახეს სტრატეგიული პარტნიორები (მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, შედეგი სამწუხარო).

სტრატეგიული პარტნიორი იყო ის მაგიური სიტყვა, რომელსაც მუხლმოდრეკით ეთაყვანებოდნენ ჩვენი ვარსკვლავჭაბუკები. **ევროპული განათლებით დახუნძლულ ცრურეფორმატორებს აზრად არ მოსვლიათ ის რეალობა, რომ ქართველები მარათონის ბრძოლიდან (ძვ.წ.490 წელი) მოყოლებული, ყველა დამპყრობლის „სტრატეგიული“ პარტნიორები ვიყავით (უფრო ადრინდელი ხეთები და ასურელებიც უნდა ვიგულისხმოთ).** შუა საუკუნეებში ერთი საუკუნის გარდა (დავით აღმაშენებელის ეპოქა), ქართველი მეფეები უცხოურ ტიტულატურას ატარებდნენ. ნაცისტებმა წარსული დაიბრუნეს. იმ პერიოდის დამოუკიდებლობა წარმოადგენდა საშინაო მოხმარების ტერმინს. ყველაფერს წყვეტდა ხილული თუ უხილავი „მძლე“. მრავალ უსწორმასწორო ქმედებათა შორის უნდა აღინიშნოს მეზობელთა დაყოფა მტრებად და მეგობრებად.

ნაცისტები სააკაშვილს როგორც მესიას, ისე შესაციცინებდნენ. წვრილფეხა არარაობებიც თავიანთი სწორუპოვარი ბელადის ტერმინოლოგიით აფრქვევდნენ შხამსა და სიძულვილს. არ ერიდებოდნენ ხმამაღლა გამოეთქვათ უკეთური ნაფიქრალი, რაც იმ მომენტში „ბრმათა და ყრუთა“ მიერ დიდ სიბრძნედ მიიჩნეოდა. ერთმა ენაგრძლმა ნაცისტმა ქალბატონმა მსმენელები ასე დამოძღვრა: „ხომ გინდოდათ დამოუკიდებლობა, გაჭირვებასაც უნდა გაუძლოთ.“ ასეთი ცინიზმი ბატონობდა მთელი ათი წელი.

ქართველთა ჭირად გაჩენილი ნაცისტები, ევროპულ-ამერიკული სტანდარტების უმისამართო ტრიალით ცდილობდნენ თავიანთი სიცარიელის გადაფარვას.უკუღმა ესმოდათ ყველაფერი და რაც შეძლეს, მაქსიმალურად გააუკუღმართეს. ნგრევის დიდოსტატებს მიერთებული „შედრეკილ-შეშინებული მედროვეები, რომლებიც წლების მანძილზე ტაშს უკრავდნენ სიცრუეს და ორპირობას, დღეს თავს იმართლებენ, რაც ხდებოდა, მოსაწონი არ იყო, მაგრამ სხვა გზა არ არსებობდაო. მათ გასაგონად ვიტყვი: ნანგრევებში მოყოლილებს ჰქონდათ გზა? უკანობის წინააღმდეგ მებრძოლთა დასაცავად ხმა არ დაუძრავთ და ბოლომდე ოლიმპიური სიმშვიდე შეინარჩუნეს (და ინარჩუნებენ დღესაც). რჩება შთაბეჭდილება, რომ, რაც ხდებოდა, მიაჩნდათ ბუნებრივ მოვლენად. მათი პროტესტი, რომელსაც ზრდილობის გულისათვის ვიწრო წრეში გამოთქვამენ, პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებთ. მათაც გარკვეული როლი აქვთ შესრულებული ტაძრის ნგრევაში და სურთ, დაგვიანებული პროტესტით გამოისყიდონ ჩადენილი გადაცდომა.

დაიმსხვრა ნაცისტების უძლეველობისა და მარადიულობის ზღაპარი. დასრულდა ბოროტების ზეიმი. მზეჭაბუკები დავიწყების საუფლოს უახლოდებიან. რამდენიმე წლის წინათ მივანიშნებდი, „ისტორიას არ უყვარს კორიოლანუსები“, რომ შეესმინათ, ქვეყანაც უკეთესი გვექნებოდა და არც მათ ბედს დაემუქრებოდა საფრთხე.

ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოხედა საქართველოს და ქვესკნელიდან ამონთხეულ სიმახინჯეს, მშობლიური ჯოჯოხეთისაკენ მისცა მიმართულება. „სისხლში მოზელილი ტალახი“, ეს არის ნაცისტის სრულყოფილი სახე. ტალახმა ტალახში ამოსვარა ერი, რომლის ჩამორეცხვის დრო იგვიანებს.

მოკვეთილები და ღირსებაშელახულები (ლომაია-ხუბუას ხატოვანი გამოთქმით, „ხულიგნები და მეამბოხეები“) ვრჩებით უიმედობის ოკეანეში. ადამიანები წლების მანძილზე ელოდებოდნენ გათენებას, თითქოს გათენდა, მაგრამ უხილავ ძალას სინათლის წყარო გადაკეტილი აქვს და მისი სხივები რიგით მოკვდავებამდე ვერ აღწევენ.

ნათელი გახდა, რომ ნაცისტური მოძრაობა წარმოადგენდა ეროვნულობით შენიღბულ ანტიქართულ მოვლენას. მათ მიერ დიდი ზარ-ზეიმით გატარებულმა განათლებისა და მეცნიერების რეფორმამ საფუძველი გამოაცალა როგორც მეცნიერებას, ისე განათლებას. რეფორმამ გამოიწვია არსებული დონის დაქვეითება და და გზა გაუხსნა აგდებულ დამოკიდებულებას სულიერი კულტურის უმნიშნელოვანესი სფეროსადმი.

დამთავრდა ჟამიანობა. ბევრს ლაპარაკობენ გადატანილი წლების სიმძიმეზე, მაგრამ მთავარი ყურადღების გარეთ არის დატოვებული.მხედველობაში მაქვს 2006 წლის ზაფხულში უნივერსიტეტში დატრიალებული განუკითხაობა. ყველა კატეგორიის ადამიანებს გამოუჩნდნენ დამცველები და გულშემატკივრები. მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორები დარჩნენ ჩრდილში. ბოროტების წინააღმდეგ მათ შემართებას არ ახსენებენ, თითქოს არც მომხდარა (როგორც იმდროინდელი ამბების მომსწრე და მონაწილე, განზრახული მაქვს იმ სამარცხვინო და ტრაგიკული ისტორიის ვრცლად გადმოცემა). როდესაც სამართლიანობის აღდგენაზე საუბრობენ, უნივერსიტეტს ყველა გვერდს უვლის. გამოდის, ხელისუფლება კანონიერად მოქმედებდა. **ყველას გასაგონად უნდა ითქვას, ნაცისტებმა უკანონობის დაკანონება უნივერსიტეტიდან დაიწყეს.**

ნაცისტების ძალადობრივი უტიფრობა და თავგასულობა დაიწყო მაშინ, როცა ისინი შემოიჭრნენ უნივერსიტეტში და რბევის პირველი საცდელი ვარჯიშები ჩაატარეს (უნივერსიტეტი გადავიდა პოლიციის დაქვემდებარებაში). ხანდაზმულ ადამიანებს შეეძლოთ შეიარაღებულ „სამართალდამცავებთან“ გამკლავება?უნივერსიტეტი დაცარიელდა (მგზნებარე ნაცისტებმა ლომაიამ და ხუბუამ საწადელი აისრულეს იარაღის დახმარებით).ეს იყო პირველი ღრმა ჭრილობა, რომელიც შენების იდეებით მოსულმა „უსწავლელმა სწავლულებმა“ საქართველოს მიაყენეს. აქ გამოაშკარავდა ნაცისტების რეჟიმის ბუნება და ზღვარგადასული უსამართლობა. **უნივერსიტეტის კედლებთან იზეიმეს სარკინოზებმა პირველი გამარჯვება და „დემოკრატიის“ სახელით, თავზე დაგვამხეს დემოკრატია. გადატანილი ბატალიები არ უნდა მიიჩქმალოს და როცა ანტირასისტული რეჟიმის მოწინააღმდეგებზე საუბრობენ, უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი ხმამაღალი საპროტესტო გამოსვლა უნივერსიტეტში დაიწყო.**

იმ შავი დღეების შემდეგ ვიდევნებით, დაგვამცირეს, გაგვლანძღეს და ვართ საარსებო წყაროს მოწყვეტილები. პროსკრიბირებულები ჯილდოს არ ვითხოვთ, მაგრამ შემთხვევითი პირების ნებივრობის ფონზე, ოდნავი ყურადღება შეგვიმსუბუქებდა იმ დამცირებისა და შეურაცხყოფის სიმძიმეს, საქართველოს მტრებმა რომ მოგვაყენეს.

ოდისეადა გრძელდება. უცნობია, ჩვენი გზააბნეული ხომალდი რომელ კლდეს შეასკდება და დაასრულებს უსამართლობის ოკეანეში ცურვას.

გრანი ქავთარია.

P. S. ნაცისტების ენამზეობა ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ მაღალფარდოვანი რიტორიკა უცვლელად არის შენარჩუნებული. დღევანდელ ხელისუფალთა ლექსიკონშიც ადამიანი მკრთალად ფიგურირებს. სამწუხარო რეალობაა, ქართველები მათაც ბრიყვებად მიაჩნიათ და გვიმტკიცებენ, რომ შავი თეთრია. ეროვნული ღირსების შელახვად უნდა ჩაითვალოს ხელისუფალთა მხრიდან ხშირი შეხსენება პენსიების მომატების შესახებ, თანაც ისეთი რიხით, თითქოს გადატრიალება მოეხდინოთ ძვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში (საკუთარ ხელფასებსა და პრემიებზე ხმას არ იღებენ). ორი წელია, ვისმენთ ნაცნობ სიტყვებს ახალი სიმაღლეების დაპყრობის თაობაზე, მაგრამ ადგილიდანაც არ დავძრულვართ.

ვინ არის ერის მომავლის დამცველი? გამოდგებიან ამ ფუნქციების შემსრულებლებად ის ადამიანები, რომლებიც ასეთი მყარი არგუმენტებით მსჯელობენ: თანამდებობის პირებს მაღალი ხელფასები დაენიშნათ იმიტომ, რომ ქრთამი არ აიღონო. ქვას რომ გახეთქავს ისეთი არგუმენტია, ტრაგიკული რომ არ იყოს. ეროვნული უბედურებაა, როცა ქვეყანაში 20-30 კაცი ვერ მოიძებნა, რომელიც რიგით ქართველზე ოდნავ მეტი ანაზღაურებით შეძლებდა სამშობლოს სამსახურს და დაამყარებდა წესრიგს.

ძლიერნო ამა ქვეყნისანო? ნაცისტების დროსაც ასე ვცხოვრობდით. კრიტიკასაც არ ვიშურებდით მათი მისამართით. ჩვენ უკეთესს ველოდებოდით, მაგრამ ცვლილების ნაპერწკალიც არ ჩანს. ნაცისტურ რეჟიმგამოვლილები გამონათებას დაველოდოთ? ჩვენ ლოდინსშეჩვეულ „ბედნიერი ერის“ შვილებად ვრჩებით. რატომ ხდება, რომ სიტყვა და საქმე ერთმანეთს ვერ უახლოვდება?

გ. ქ.

◎ კაკალ გულში

წეკლოლოჯანი თჩაზები

● **ივანიშვილო, ღარიბაშვილო, მარგველაშვილო, მთავრობავ, უსუფაშვილო, ხიდაშელო, ნარმანია და ა.შ... კი ხართ ახლა კარგად, მაგრამ ხალხის გეშინოდეთ, ხალხის, ვინც კაცად(ქალად) გაქციათ! ბდღვირს გადენენ ახლო მომავალში აზრზე თუ არ მოხვალთ.**

● **მეგონა, „მიშაობა“ დავამთავრეთ და „მუშაობას“ დაიწყებდა ხალხი, მაგრამ ისევ „მიშაობენ“ .**

● **ის ფრაზა, რომ მაღალი ხელფასები იმიტომ არის საჭირო, რომ ჩინოვნიკებს ხელი არ წაცდეთ და არ მოიპარონო, არის პირდაპირი ბრალდება ყველა ჩინოსნის მიმართ, რომ ისინი არიან პოტენციური ქურდები და დამნაშავეები. ეს, პირველ რიგში, იმ ადამიანის შეურაცხყოფაა, ვის მიმართაც არის ნთქვამი, ხოლო ის ფაქტი, რომ ასეთ განცხადებაზე არავინ არ გამოთქვა პროტესტი, არის თანხმობა და, ფაქტობრივად, დანაშაულის აღიარება! გვჭირდება ჩინოსნებად პოტენციური დამნაშავეები?**

● **ეჰ, მარგველას ფეხბურთსაც არ ათამაშებენ. ღმერთო, გვაღირსე ისეთი პრეზიდენტი, რო მარტო ბურთის მომტანი არ იყოს.**

● **ხალხო, ტყუილად ნუ ბრაზდებით „რუსთავი 2“-ზე“. ეს არის“ოცნების“ „ზაკაზი“. იციან, რომ რუსთავი 2-ზე გახმიანებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე (რომელიც თქვენ წარმოიდგინეთ და ხშირ შემთხვევაში მართალია), ხალხს (და არა „საზოგადოებას“) ექნება უარყოფითი რეაქცია, ანუ იტყვიან, ნაცების დედაცო და „ოცნებას“ გაამართლებენ. ბებია გიჭყავით ორივეს! მოინახება მესამეც!**

● **24 საათი თუ მუშაობენ და შენობიდან არ გადიან, საერთოდ რად უნდათ ხელფასები. დავუნიშნოთ სამჯერადი კვება და + სამხარი დანამატის სახით. 4 ხელი ტანსაცმელი წლიურად. ფეხსაცმელები საერთოდ არ არის საჭირო, 2-2 წყვილი ჩუსტიც ეყოფათ.**

● **კობერიძემ იმხელა დაუყვირა ქეთი დოლიძეს, „კუკარაჩა 2“-ში კუკარაჩას მაგივრად თავხელიძე კვდება.**

● **ძალიან მაინტერესებს, როდის მიიწვევენ ზოგიერთი გადაცემის პირდაპირ ეთერში ვირის შაურმის დამამზადებლებს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-დემოკრატიულ პრობლემებზე დაელაპარაკებიან. ეს იმიტომ ვიკითხე, რომ ზოგიერთ „ხელოვანსა“ და ვირის ხორცით მეშაურმეებს შორის ვერანაირ განსხვავებას ვერ ვხედავ.**

● **გრიგოლიას გადაცემაში არავის არ უთქვამს, რომ იმ სამ მომღერალზე იმიტომ აქვს საზოგადოებას გართულება, რომ ერთის ბინაში ვანო მერაბიშვილი ცხოვრობდა, მეორემ 26 მაისს სისხლიან რუსთაველზე იმღერა და მესამე ნაცელიტის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. არც ის უთქვამთ, რომ ამ სამეულმა მოსკოვში კი არა, გრენლანდიაში, ან ზიმბაბვეში რომ იმღეროს, ხალხს ანალოგიური რეაქცია ექნება (უბრალოდ, მაშინ იტყვიან, რომ იქ მიშამ ჩაიყვანაო).**

● **24 საათი რომ მუშაობენ, გადაღლილები იქნებიან და უვადო შვებულებაში გასვლა ეკუთვნით.**

● **ამერიკის ელჩს უფლება-მოვალეობები მკაცრად არა აქვს გაწერილი, ყველაფერში რომ ეჩრება?! ყველა ქვეყნის ელჩმა, ყველაფერში რომ ჩაყოს ცხვირი, გენერალ იმერლიშვილს რაღა საქმე დარჩება?**

● **განცხადება: მზად ვარ ვიმუშაო მინისტრად ისე, რომ არ ავიღო დიდი პრემია, ან (უკეთესი ვარიანტი) ავიღო დიდი პრემია ისე, რომ არ ვიმუშაო მინისტრად.**

● **სულ რუსეთი როგორაა მტყუანი და სულ ზალკალიანი და ბარამიძე როგორ არიან მართლები?!**

● **ქეცბაიამ შოტლანდიასთან წაგება ტრაგედია არ არისო და აბა, მაინცადამაინც, რაზგონაღებული კამაზი უნდა დაგეტაკოთ მთელ გუნდს, შე კაი კაცო, ტრაგედია რომ იყოს შენთვის?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ



როკის გვირაბი და დარიალის ხეობა არ კმარა?

ავარეთ-კახეთის ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა და რუსული ნაღმი

ოქტომბრიდან **რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ახალი, ავარეთ-კახეთის ავტომაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები იწყება. ავარეთ-კახეთის ავტომაგისტრალის სიგრძე მთლიანად 83 კილომეტრი იქნება, გზამ 3 მთა უნდა გაიაროს, რისთვისაც 25 ხიდის და 5 გვირაბის აშენება იგეგმება. დაღესტნის ავტოგზის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ანდრეი ბონდარევი განმარტავს, რომ ეს იქნება უმოკლესი გზა საქართველოსთან დასაკავშირებლად.**

ქართული მხარის განცხადებით, ეს რუსეთის ტერიტორიაა და სწორედ რუსეთის გადასაწყვეტია, რა ტიპის პროექტებს გააკეთებს თავის ტერიტორიაზე. ავარეთ-კახეთის გზის აღდგენაში რუსეთის ინტერესები ჯერ კიდევ 2008 წელს გამოიკვეთა, როდესაც აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დაღესტნის მთიანეთში არსებულ სამხედრო ბაზას ესტუმრა. პუტინს აინტერესებდა, რამდენად შეძლებდა სამხედრო აღჭურვილობა ამ მიმართულებით მოძრაობას და სამხედროებმაც დაარწმუნეს, რომ დაღესტნის მხრიდან საქართველოს მიმართულებით მძიმე ტექნიკა, მათ შორის, ტანკებიც უპრობლემოდ გაივლიდა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიას შეფასებით, ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს და კითხვებს ბადებს. თუმცა, მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ამ საკითხზე საქართველოსა და რუსეთს შორის არანაირი კომუნიკაცია არ ყოფილა. ჯალაღანია ამბობს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გათვალისწინებით, უსაფრთხოების საკითხი გარკვეულ კითხვებს ბადებს.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, ჩვეულებრივ მდგომარეობაში ამ გზას მხოლოდ ეკონომიკურ-სატრანსპორტო კომუნიკაციის ფუნქცია ექნებოდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს, ეს გზა გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს.

ავარეთ-კახეთის საავტომობილო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით განსხვავებულია ეკონომიკის მინისტრის და ვიცე-პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის პოზიცია. მისი თქმით, რაც მეტი გზა იქნება, მით უკეთესი იქნება ვაჭრობისათვის.

„მოგეხსენებათ, ჩვენ განვაახლეთ რუსეთთან ვაჭრობა. ლარსზე სტიქიით გამოწვეული პრობლემის გათვალისწინებით, ურიგო არ იქნება რუსეთ-საქართველოს შორის საქონელმა ალტერნატიული გზით იმოძრაოს. თუ უსაფრთხოების კუთხით რამე პრობლემა არ არის, რაც მეტი გზა იქნება, მით უკეთესი“, — ამბობს გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე თვლის, რომ რუსეთის საქმეა თავის ტერიტორიაზე გზას ააშენებს, დაანგრევს თუ შეაკეთებს, საქართველოსთან შემაერთებელი გზის მშენებლობაზე კი საუბარი არ ყოფილა.

„კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ამ თემაზე რუსეთის მხარესთან ჩვენ საუბარი საერთოდ არ გვქონია, არანაირ ფორმატში არ განხილულა ეს თემა არც რუსეთთან და არც საქართველოს მთავრობაში. რატომღაც ჩვენი ჟურნალისტების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ ახლა ამ საკითხის მუსირება მოახდინოს. თუკი რუსეთი თავის ტერიტორიაზე გზას აშენებს ან ანგრევს ან შეაკეთებს, ეს მათი საქმეა და ჩვენ ამაში ვერ ჩავერევით — ვერც შევაჩერებთ, ვერც ნებას მივცემთ, მაგრამ შემაერთებელი გზის მშენებლობაზე საუბარი არ ყოფილა. ანუ ამ ეტაპზე თემა არ არსებობს“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

პრემიერის წარმომადგენელი არ აკონკრეტებს, როგორი იქნება ქართული მხარის პოზიცია მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ რუსეთის მიერ შესაბამისი მომართვის შემთხვევაში, მთავრობა იმსჯელებს და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას მიიღებს. მისი თქმით, თუ რაიმე წინადადება იქნება რუსეთის მხრიდან, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე იქნება შესაბამის გადაწყვეტილება მიღებული.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ივლიანე ხაინდრავა თვლის, რომ ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობის საკითხს, როგორ რუსეთის რბილი ძალის მატარებელს განიხილავს და არა როგორც სამხედრო ძალის მატარებელ ელემენტს.

„რუსეთი ერთი დიდი საფრთხეა საქართველოსთვის, ეს გასაგებია და ყველა ნაბიჯს, რომელიც ჩრდილოეთიდან მომდინარეობს, ჩვენ სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ ამ ეტაპზე და არსებულ ვითარებაში ასეთ გზას მე უფრო განვიხილავდი როგორც რუსული რბილი ძალის მატარებელ ელემენტს და არა როგორც სამხედრო ძალის მატარებელს, რადგან რუსული სამხედრო ბაზები არის აფხაზეთსა და ცხინვალში, ტანკებიც არის, რაკეტებიც არის, ერთი ბაზა სამხრეთით აქვთ და ეს სავსებით საკმარისია აგრესიული, მილიტარისტული განზრახვებისთვის. სიფრთხილეა საჭირო, ბოლოს და ბოლოს, გზა ვერ შედგება, თუ ჩვენი მხრიდან შესაბამისი მონაკვეთი არ აშენდება“, — განაცხადა ივლიანე ხაინდრავამ.

ავარეთ-კახეთის ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა დადებითი მოვლენაა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გიორგი ვოლსკისთვის, რომლის განცხადებით, მთავარია, ამ გზაზე ტანკებმა არ გაიარონ.

ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში ვანო მაჭავარიანი განმარტავს, რომ იმ ქვეყანამ, რომელმაც საქართველოს ორი რეგიონი დაიპყრო და განათავსა სამხედრო შენაერთები, მისი ნებისმიერი მოძრაობა საქართველოს მიმართულებით, საფრთხის შემცველია.

„კახეთის მხრიდან დაღესტანის მიმართულება საკმაოდ რთული რეგიონია. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდში თავს დაცულად ვგრძნობდით, რადგან არ იყო ასეთი პირდაპირი კომუნიკაცია ამ რეგიონთან. დაღესტანი არის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილი, სეპარატიზმი იქნება ეს თუ ვაჰაბიზმი, რუსეთის გეგმა დააკავშიროს დაღესტანი საქართველოს საზღვარს, რა თქმა უნდა, ემსახურება მათ სამხედრო პოლიტიკურ მიზნებს“, — აცხადებს მაჭავარიანი.

თუმცა, არ გამორიცხავს, რომ **შესაძლებელია ამ პროექტში ჩადებული იყოს ეკონომიკური სავაჭრო მიმართულება, მაგრამ აქვე განმარტავს, რომ გამომდინარე რუსეთის მთავრობის მილიტარისტული მიდგომების გამო საქართველოს მიმართ, ეს გზა ძალიან დიდი საფრთხის შემცველია.**

თამთა ქარჩავა

SIC!

დარგი გამიზნულად ინგრევა!

ადგილობრივი მეფრინველეობა იმპორტის გამო იჩაგრება

მეფრინველეობის განვითარება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ცნობილია, რომ 1880-იანი წლებიდან მეფრინველეობის პროდუქტები საექსპორტოდ გაჰქონდათ პარიზში, ვენაში, ჰამბურგში, ბერლინსა და სხვა დიდ ქალაქებში, ხოლო 1898-99 წლებში ლონდონის ბაზარზე ქუთაისის გუბერნიიდან გაგზავნილ კვერცხს ხარისხით მეორე ადგილი ეკავა. მეფრინველეობა კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა პერიოდში, განსაკუთღებით, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, თუმცა 1990-იან წლებში ეს დარგიც დაინგრა და ჩვენი მაღაზიები საზღვარგარეთიდან შემოტანილი უხარისხო ხორცითა და ვადაგასული კვერცხით აივსო.

„მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის“ თავმჯდომარე ზურაბ უჩუმბეგაშვილი ამტკიცებს, რომ ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ, სრულად დააკმაყოფილონ ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილება ამ უმნიშვნელოვანეს პროდუქციაზე, მაგრამ ამისათვის ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერაა საჭირო. „მოსაწონია, რომ ახლო მომავალში ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესებს კანონი დაიცავს. „საზღვრის დაცვის ღონისძიებების შესახებ კანონი“ ჩვენი ასოციაციის უშუალო ჩარევით შემუშავდა. კანონპროექტი ითვალისწინებს იმ საქონლისაგან თავის დაცვას, რომელიც საქართველოში ჭარბი ოდენობით იწარმოება“, — განაცხადა bpn.ge-სთან საუბრისას ზურაბ უჩუმბეგაშვილმა, რომელსაც ამ დარგში არსებულ პრობლემებზე ვესაუბრეთ.

— სასიხარულოა, რომ კანონპროექტზე მუშაობა დასრულდა. როგორც ვიცი, ის ამ კვირაში მთავრობამ უნდა განიხილოს, ხოლო შემდეგ პარლამენტში შევა განსახილველად და დასამტკიცებლად. იმედია, ეს კანონი ოდნავ მაინც შეგვიმსუბუქებს მდგომარეობას, რადგან მეფრინველეობის დარგში უამრავი პრობლემა დაგროვდა. წლების განმავლობაში, კერძოდ, 2009-დან 2012 წლის ჩათვლით, საქართველო ექსპორტიორი ქვეყანა იყო. მართალია, პროდუქცია შემოგვქონდა, მაგრამ კიდეც გაგვქონდა — ერაყში, სირიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, დღეს კი, მხოლოდ იმპორტიორები ვართ. ობიექტურად რომ ვთქვათ, უკან წავედით, რადგან ექსპორტის მაჩვენებელი ნულის ტოლია, ხოლო იმპორტი ჩვეულებრივად ხორციელდება. ხშირად გვეკითხებიან — შეძლებთ ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასო? -— მე ვაცხადებ: ნაწილობრივ კი არა, სრულად შევძლებთ. ამის დასტურად ციფრებს მოვიყვან: საბჭოთა პერიოდში 5-6 დიდი ფაბრიკა მოქმედებდა, რომელსაც წარმადობა ჰქონდა ძალიან მაღალი, ხოლო დღეს 23 ბრენდირებული ფაბრიკა გვაქვს, რომელიც კვერცხს აწარმოებს. საქართველოში წელიწადში 500 მილიონ კვერცხს ვაწარმოებთ, რაც ჩვენი მოსახლეობისათვის საკმარისია. თანაც, ეს ოფიციალური საწარმოების მონაცემებია. აქ არ შედის სოფლის კვერცხი, რომელსაც ბაზრის 10-15% უკავია, ხოლო სადღაც 7-8% არაბრენდირებულ ფერმერულ მეურნეობებსა და მოსახლეობის კუთვნილ ნაწარმზე მოდის. დღესაც ადგილობრივი ბაზრის 85-87 პროცენტი ქართულ კვერცხს უკავია. არანაირი საშიშროება, რომ საქართველოს მოსახლეობას პროდუქციით ვერ მოვამარაგებთ, არ არსებობს.

— ამბობთ, რომ ადგილობრივ წარმოებას ძალიან ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი ელობება წინ. რომელს გამოყოფდით ამ ფაქტორებიდან?

— ყველაზე რთული ჩვენთვის ის არის, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ იმპორტი იყო წახალისებული. ამის გამო იძულებული გავხდით, 2013 წელს ჩვენი წარმოება მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა. ძალზე რთულია, როდესაც პროდუქციას აწარმოებ და ვერ ყიდი, ვერსად გაგაქვს. თუ ეს კანონი ძალაში შევა, პირობას ვდებთ, რომ 4-5 თვის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნებს სრულად დავაკმაყოფილებთ. ბოლო წლებში მთავრობის პოლიტიკა იყო ისეთი, რომ ადგილობრივი წარმოება ითრგუნებოდა, სამწუხაროდ, ახლაც ასეა. ჩვენი ყველა ფაბრიკა 2-3 თვეში ერთხელ მოწმდება, სურსათის ეროვნული სამსახურისა და სხვა სამსახურების მიერ საკმაოდ მკაცრად კონტროლდება, თუ რამდენად შეესაბამება ჩვენი სანიტარიულ-ჰიგიენური დონე დასაშვებ სტანდარტებს. ამ დროს იმპორტირებული საქონლის ხარისხს არავინ ამოწმებს და ყველაფერი მწარმოებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. იმპორტირებული კვერცხი საზღვარზე რომ შემოდის, მხოლოდ ვარგისიანობაზე მოწმდება, თორემ მისი ხარისხის დადგენა და ბოლომდე შემოწმება არ ხდება. არ კონტროლდება ფასი, რომელიც საკმაოდ დაბალია. არის თუ არა ეს დემპინგი — ამასაც არავინ ამოწმებს. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: ჩვენი ვეტერინარული სამსახური ჩასული იყო უკრაინაში.

იხ. 6 გვ.

◎ თბილისის მერს

ბევრი რამ გელოდებათ მისახედი და გასაკეთებელი

თბილისში ძალიან ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი: ქუჩები, სატრანსპორტო გაჩერებები, ერთმანეთს ხელს უშლიან სამარშრუტო ტაქსები და ავტობუსები... ეს თვალნათლივია კერძოდ, დიდუბეში. ჯანმრთელობის სამინისტროსთან მდებარე წრიული მოედანი იმდენად აფერხებს ტრანსპორტის გამტარუნარიანობას, რომ მოძრაობა ჩერდება.

მარჯანიშვილის მეტროს მეორე მხარეს, მაკდონალდსთან, გაჩერებაზე, ღობის მოაჯირი ასაღებია, ვინაიდან გაჩერებულ ავტობუსში შესაღწევად ღობეზე გადასვლაა საჭირო.

მოსაჭრელია მკვდარი ხეები (რომლებიც ძალიან მომრავლდა ქალაქში), მათ ადგილას კი ახალი ნერგების ჩაყრა.

მარშალ გელოვანის ქუჩის გაყოლებაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეორე მხარეს, ვეებერთელა ნაკვეთზე ერთ დროს კარგი ვენახი ხარობდა. რამდენიმე წელია, იქაურობა პარალიზებულია.

ასვეე უყურადღებოდაა „ვეფხისა და მოყმის“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაც. თქვენ მრავალი რამ გელით მისახედად და გასაკეთებლად.

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის
დამსახურებული მუშაკი

◎ ავი გეგმა

უკრაინა „გეოპოლიტიკურ ჩერნობილს“ ეწირება!

1986 წლის 26 აპრილს, უკრაინაში, კიევიდან ასიოდე კილომეტრში მდებარე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკზე მოხდა ავარია. ეს იყო საერთაშორისო შკალით მეშვიდე დონის ბირთვული აფეთქება, რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. ჩერნობილის კატასტროფა შეფასებულია, როგორც უდიდესი ავარია ატომური ენერგეტიკის ისტორიაში, როგორც დაღუპულთა და მისგან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობით, ისე ეკოლოგიური დაბინძურებითა და ეკონომიკური ზარალით.

ავარიის შედეგად გაჩენილმა რადიოაქტიურმა ღრუბელმა გადაიარა მაშინდელი სსრკ-ის ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთი ევროპა, სკანდინავია, დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის აღმოსავლეთი ნაწილი. დაბინძურებული ზონიდან ევაკუირებული იყო 200 000 ადამიანზე მეტი. აგრეთვე, ჩერნობილის კატასტროფა გახდა უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა მთელი კაცობრიობისათვის. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ მაშინ, ჯერ კიდევ ცივი ომის პირობებში იმყოფებოდა მსოფლიო და გამალებულ შეიარაღებას ეწეოდნენ აშშ და სსრკ, ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ბლოკები. მიუხედავად ამისა, ჩერნობილის კატასტროფამ ერთგვარად გამოაფხიზლა მსოფლიო თანამეგობრობა, რადგანაც მათ დაინახეს, თუ რას წარმოადგენს რეალურად ატომური საფრთხე, რომ სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს შორის იდეოლოგიური ან ღირებულებითი განსხვავება არ არის გადარჩენის გარანტია! ბირთვული კატასტროფა მტყუანმართალს ერთნაირად გაანადგურებს, ამიტომ, საჭიროა კომპრომისი და კონსენსუსი, რათა კაცობრიობას ჰქონდეს მშვიდობიანი განვითარების საშუალება! დღესაც ბირთვული საშიშროება დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და, სამწუხაროდ, გაისმის ხოლმე მსგავსი განცხადებები... არადა, ბირთვულ იარაღს შემაკავებელი ეფექტი აქვს და სწორედ ამით არის ის კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო!

ეს შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ შემეხსენებინა ის საშინელება, რაც გადაიტანა უკრაინამ და უკრაინის მოსახლეობამ სამი ათეული წლის წინათ და რომ მაშინ, ადამიანები, ყველანი ერთად, მიუხედავად ეროვნებისა, მხარდამხარ ებრძოდნენ „აჯანყებულ ატომს“, რომელიც უკრაინას წალეკვით ემუქრებოდა! დღეს კი, „ატომი დუმს“, ხოლო, „აჯანყებული ადამიანები“ პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით უსწორდებიან ერთმანეთს! ყოველივე ამას კი, თითოეული მათგანი ამართლებს „გეოპოლიტიკური ინტერესებით და თავისუფლების იდეალებით“, რომლის მისაღწევად „ყველა მეთოდი დასაშვებია“! აი, აქ ცდებიან უკრაინის მცხოვრებლები, იმის ნაცვლად, რომ ერთად ცეცხლის შეწყვეტაზე და შეთანხმებაზე იზრუნონ, უკრაინის გარეთ ეძებენ გამშველებლებს და დამხმარეებს!.. მებრალება უკრაინა და უკრაინის ხალხი, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, უკრაინელები, რუსები თუ სხვა ეროვნების ადამიანები, მათ 28 წლის წინათ ჩერნობილის ბირთვული კატასტროფა გადაიტანეს და ახლა, „გეოპოლიტიკურ ჩერნობილს“ ეწირებიან, რომლის შედეგი იქნება — ტერიტორიულად დანაწევრებული და ეთნიკურად გახლეჩილი უკრაინა!..

ეს იმიტომ მოხდა, რომ წლებია უკვე, რაც კონკრეტული **დასავლური პოლიტიკური წრეები („ძირითადად“ ამერიკული) პროვოცირების მიზნით იყენებენ უკრაინას და საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ, რამაც საქართველოსთან მიმართებაში ზენიტს მიაღწია მათი „რეზიდენტ-პრეზიდენტის“ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, რაც დასრულდა საქართველო-რუსეთის „დღენახევრიანი ომით“ და საქართველოს ტერიტორიის 20%-ის „ჩამოჭრით“!** სსრკ-ის დაშლის შედეგ, თავის მხრივ **რუსეთმაც, რომელსაც საბჭოური ნოსტალგია „ტანჯავს“ და გავლენის შენარჩუნება სურს პოსტსაბჭოთა სივრცეში, სხვა ვერაფერი რიგიანი და მისაღები ურთიერთობა „ვერ, ან არ შესთავაზა“ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს, გარდა ეკონომიკური ზეწოლის და ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირებისა, რაც სეპარატისტული განწყობების მხარდაჭერაში გამოიხატებოდა,** რითაც საბაბს აძლევდა დასავლეთის აღნიშნულ წრეებს, რომ რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკური რეჟიმები შეექმნათ მოცემულ სივრცეში!..

დასავლეთის, ამ გავლენიანი წრეების მიზანი იყო და არის ის, რომ რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებთან „მცირე მასშტაბის“ სამხედრო კონფლიქტების გზით მოახდინონ ერთიანი რუსეთის სახელმწიფოებრივი რღვევა, რუსეთის შიგნით საპროტესტო მუხტის შექმნა („დემოკრატიის და თავისუფლებების“ მოთხოვნა, მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობოების მიერ!) და აქციების „აგორება“, რაც უნდა გამოიწვიოს ამ კონფლიქტების შედეგად მიღებულმა დანაკარგებმა, ადამიანების მსხვერპლიდან დაწყებული, ეკონომიკური მაჩვენებლების და ცხოვრების დონის დაქვეითებით დამთავრებული! ისინი არაფრად დაგიდევენ იმას, რომ მათ **ამ განზრახვას და გეგმებს ეწირება რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოების მოქალაქეების სიცოცხლე და ტერიტორიული მთლიანობა!** მეტიც, ისინი უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ, მათი აზრით, საქართველო და ქართველები „პატარა ქვეყანა“ და „არამამაცი“ ხალხი გამოდგა, თორემ რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის პროვოცირების მიზანი (**რაც, თავის მხრივ, გამოიყენა ოკუპანტმა რუსეთმა იმისთვის, რომ საქართველოს ორი რეგიონის „დამოუკიდებლობა ეღიარებინა“ და სამხედრო ბაზები განელაგებინა საქართველოს ტერიტორიაზე**) იყო ის, რომ მიუხედავად საქართველოს „სიმცირისა“, ქართველები შეძლებდნენ და მინიმუმ 2 თვე „გაძლებდნენ და იომებდნენ“, ამასობაში კი, რუსეთის ყველაზე მღელვარე რეგიონში, ჩრდილოეთ კავკასიაში „ბოევიკების“ მიერ დაიწყებოდა რუსულ სამხედრო ბაზებზე თავდასხმები და „ახალი კავკასიური ომიც გამოცხვებოდა“ პრინციპით — ყველა კავკასიელი რუსების წინააღმდეგ! მოგეხსენებათ, რომ **ეს „გეგმა“ საქართველოსთვის კატასტროფულად დასრულდა!..** „განაწყენებულმა ქორებმა“ კი, როგორც „არამამაც“ ხალხს (იყო, მათი ასეთი შეფასებები), რომელმაც 3 დღეც კი ვერ გაუძლო რუსულ სამხედრო მანქანას, — **ქართველებს „პადგუზნიკები“ და „სასმელი წყალი“ გამოგვიგზავნეს სამხედრო გემით!..**

მოკლედ, დღეს მათ, **უკრაინის სახით უფრო დიდი „ღლავი“ შეარჩიეს რუსული დათვის „მოსათვინიერებლად“,** ისინი არ ღალატობენ საკუთარ ხელწერას, ლამობენ რა, — „დემოკრატიის საბურველში გახვეულებმა“ („დემოკრატია არა, კვახი“) სხვა ხალხების „ხელით და სისხლით“ მიაღწიონ მათ მიერ დასახულ მიზნებს, — უკიდეგანო რუსეთის უსაზღვრო წიაღისეულ სიმდიდრეებს!.. დიახ, **ეს არის მათი სანუკვარი ოცნება — რუსული „მენდელეევის ტაბულის“ ხელში ჩაგდება!.. მათ ამ გეგმებს და ქმედებას კი, გამძვინვარებულმა რუსეთმა ყირიმის ანექსიით და დონბასში გაჩაღებული სამხედრო აგრესიით უპასუხა,** სადაც უკრაინელი და რუსი ეროვნების მოსახლეობა იღუპება, რასაც ბოლო არ უჩანს!.. ვიმეორებ, გულწრფელად მეცოდებიან უკრაინელები და უკრაინა, მათი დამოუკიდებლობა და თავისუფლება სწორედ ახლა დგას ყველაზე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ!.. **ღმერთმა მისცეს გონი და ძალა ყველას უკრაინაში, რუსეთში თუ ევროპაში, ვისაც ამ „გეოპოლიტიკური ჩერნობილის“ განეიტრალება შეუძლია, რაც უზრუნველყოფს სისხლისღვრის შეჩერებას უკრაინაში და მისი მთლიანობის აღდგენას** ყოვლისმომცველი კომპრომისის საფუძველზე, კიევსა და მოსკოვს შორის!!!

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიგოლოგი

◎ დედაქალაქი

განა უსაქმურობისთვის დაიქირავა ხალხმა ჩინოსნები?!

კანონიერად **მოქმედებასა და სამართლიანობის დაცვას შორის დიდი განსხვავება რომაა, ამას ბევრი განმარტება არ სჭირდება.**

იმის გაუთავებელი მტკიცება, თუ გვსურს, რომ ჩინოსნებმა თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულონ და ქრთამისკენ არც გაიხედონ, ლამის ყოველთვიურად უამრავი დანამატი თუ წახალისება უნდა მიიღონ თავიანთ ისედაც მაღალ ხელფასებზე, რაც ჯერ წინა ხელისუფლებისას იყო და ახლის წარმომადგენლებიც მალ-მალე იმეორებენ, რომ იტყვიან, მართლა ყელში ამოვიდა.

დედაქალაქის ქუჩები მოუვლელი რომაა, ავტომანქანებმა და ათასგვარმა სავაჭრო ობიექტებმა ფეხით მოსიარულეებს ტროტუარები რომ წაართვეს, ამის შესახებ ადრეც ბევრჯერ გვითქვამს და ახლაც იძულებული ვართ იგივეს დავუბრუნდეთ.

რომელი ერთი ქუჩით გინდა დაიწყო კაცმა, მაგრამ ამ ჯერზე ნაძალადევის რაიონში ჩარგლისა და გუდამაყარის ქუჩებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, ბატონებო, რომლებზე აყრილი ასფალტი და წლების მანძილზე დარჩენილი ორმოები, ყველა წვიმის შემდეგ ტალახიანი წყლით ისე ივსება, რომ მძღოლებს გასავლელად გზის ვერც ერთი ნაწილი ვერ აურჩევიათ, რადგან ორივე მხარეს მდგომარეობა სრულიად აუტანელია. თუმცა არის ზოგიერთი უბანი, სადაც ორმოები მხოლოდ ცალ მხარესაა „ჩამწკრივებული“, ამიტომ ამ ადგილებში მძღოლები საპირისპირო მოძრაობის ზოლზე გადადიან ხოლმე, რაც ავარიების საფრთხეს გაცილებით ზრდის. არადა, აქ საზოგადოებრივი ტრანსპორტიც მოძრაობს, სამარშრუტო თუ კერძო ტაქსებიც, ასევე სატვირთო მანქანებიც...

ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ ყველაფერი ეს... ნაძალადევის გამგეობის შენობის წინ ხდება, რომელიც გურამიშვილისა და გუდამაყრის ქუჩების გადაკვეთაზეა და ახალი შენობის ფანჯრებიდან ჩანს, ადგილობრივი ჩინოსნები ამას შესცქერიან და თავიანთ საქმეს არხეინად აგრძელებენ. არადა, ისმება კითხვა: განა ასეთს რას აკეთებენ, ერთი გზისთვის რომ ვერ მიუხედავთ?

რახანია თბილისის ზღვის უბნის მოსახლეობა უჩივის სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობას, რომელიც ზღვის გაყოლებაზე ძირითადად დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, ნაწილობრივ მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში მიედინება. გარდა სატვირთო ტრანსპორტისა, ამ გზით ასევე გლდანისა და მუხიანის რაიონების მოსახლეობა სარგებლობს, რაც მას იმდენად ტვირთავს, რომ კვირა ისე არ გავა, აქ დიდი ავტოსაგზაო შემთხვევა არ მოხდეს. მოსახლეობა წლების მანძილზე აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დიდი, მისაბმელიანი ტრაილერების კოლონების გადაადგილების დროს მიმდებარე სახლები ისე ძლიერად ზანზარებენ, რომ ხალხს შენობების დანგრევის შიში აქვს.

ამასთან თავის დროზე, დედაქალაქის მესვეურებმა სატრანზიტო სატვირთო ავტომანქანების მარშრუტად თბილისის შემოვლითი გზა ზაჰესის გადასახვევიდან დააწესეს, რომელიც სოფელ გლდანის განაპირას გადის 70-მეტრიანი ესტაკადით, შემდეგ ყოფილი ნაგავსაყრელის ტერიტორიის გავლით სოფელ ნორიოსკენ მიემართება, რომლის გავლის შემდეგ მანქანები რუსთავის გზატკეცილით გზას აღმოსავლეთისკენ დანიშნულების ადგილამდე დაუბრკოლებლად განაგრძობენ. თავის დროზე ეს მარშრუტი სატვირთო ავტომანქანების მძღოლებს ათვისებული ჰქონდათ, შემდეგ იქ სარემონტო სამუშაოები დაიწყო და მათაც „ახალი სვლაგეზი“, უკვე ზღვის უბნის გავლით შეარჩიეს. როგორც ჩანს, ასე უფრო უადვილდებათ, მაგრამ, აბა, იქაურ მცხოვრებლებსაც ჰკითხონ?! მერედა, განა ვინ უნდა მიხედოს ამ გზას, თუ არა იმ ჩინოსნებმა, ვინც მოსახლეობის მიერვეა დაქირავებული, ვინც ხელფასს მათი გადასახადებით იღებს და, საერთოდაც, ისევ ხალხის ხელდასხმულია?! განა დრო არ არის, ისე გაისარჯონ ადგილობრივი მოხელეები, რომ გაზეთით არ გვიწევდეს მათთვის საყვედურების თქმა?!

ბარათს გიგზავნი, პასუხს მოველი...

როგორც **ჩანს, მრავალწლიანი „ძილის“ შემდეგ საქართველოს ფოსტა თანდათანობით გამოფხიზლებას იწყებს — თბილისის ქუჩებში როგორც იქნა, ახალი საფოსტო ყუთები გამოჩნდა.**

ქალაქის ცენტრალური ქუჩები ჯერჯერობით ამ სიახლით დიდად ვერ დაიტრაბახებს, ყუთების განთავსება რატომღაც გარეუბნებში უფრო ინტენსიურად დაიწყეს, მაგალითად, ზღვის უბნის, გლდანისა და თემქის რაიონების დასაწყისში, ცოტნე დადიანის პროსპექტზე, ზოგიერთ სხვა ადგილას.

საგულისხმოა, რომ ახალ საფოსტო ყუთებს ზედ განმარტებითი წარწერები ახლავს, რომლებშიც წერილების გაგზავნის წესი, ფოსტის სამსახურის მუშაობის დღეები, გზავნილების გატანის დრო, ღია ბარათების ღირებულება, საფოსტო ყუთის ნომერი, სხვა აუცილებელი ინფორმაციაა მითითებული.

უნდა ითქვას, რომ ახალი წესებით, ფოსტით მხოლოდ A5 და A6 ფორმატის კონვერტები იგზავნება, რომლებსაც შესაბამისი ღირებულების საფოსტო მარკა უნდა ჰქონდეს დაკრული.

მოგვაშორეთ უპატრონო ძაღლები!

მაშინ, როცა მთელი მსოფლიო არნახული საფრთხის, ებოლას ციებ-ცხელების უპრეცედენტო გავრცელების საშიშროების წინაშე დგას და უკლებლივ ყველა სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს შესაბამისი სამედიცინო უწყებები გაათმაგებული ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ქვეყანაში ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას, თბილისის ყასბებს ეს არათუ არ ადარდებთ, პირიქით, ქალაქს თითქოს ჯიბრზე ანაგვიანებენ.

მარტო დანაგვიანებას იქნებ არც აღვეშფოთებინეთ, მაგრამ თავიანთი უგვანო საქციელით ეს ვაჟბატონები არა მარტო აბინძურებენ დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას, არამედ მღრღნელებსაც ამრავლებენ და მაწანწალა ძაღლებსაც, რომლებიც იქაურობას ისედაც არ აკლია.

ამ დღეებში ბაზრის მთავარი შესასვლელის წინ, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ავტობუსების გაჩერებასთან, ნაგვის ბუნკერების გვერდით, ახლო-მახლო მდებარე ხორცის სექციებიდან ძვლებით და ტყავით სავსე ქაღალდის ტომრები გამოეტანათ და შიგ სანაგვეში კი არ ჩაეყარათ, არამედ გვერდით მიეგდოთ. შეესია ამ ნარჩენებს იქაური ყველა დიდი თუ პატარა მაწანწალა ხვადი და ძუკნა, ხალხი მიდი-მოდის, ეს ძაღლები იღრინებიან, იყეფებიან, არის ვაი-უშველებელი, ხალხი დამფრთხალი უვლის გვერდს ამ ხროვას, ტროტუარიდან სავალ ნაწილზე გადადის, ლამის მანქანებს ქვეშ უვარდება...

ისე კი, კაცმა რომ თქვას, უტვინო და უზნეო-უსაქციელო ყასბებს თავი რომ დავანებოთ, ბოლო დროს დედაქალაქში ისევ გამოჩნდა ხროვებად მაწანწალა ძაღლების ჯგუფები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან თბილისელებს სხვადასხვა უბანში დილით თუ საღამოთი. რამდენიმე წლის წინათ ეს საფრთხე თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მეცადინეობით გადაიჭრა, მაგრამ მისი თვითდინებაზე მიშვება ნამდვილად არ შეიძლება, გამუდმებით თვალყურის მიდევნება სჭირდება. სხვა შემთხვევაში დედაქალაქის ქუჩები უწინდელივით სამოძრაოდ ისევ სახიფათო გახდა, განსაკუთრებით ბავშვებისა და ხანდაზმულებისთვის, როგორც ეს წლების წინათ იყო.

ოთარ ტურაბელიძე.
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ SIC!

დარგი გამიზნულად ინგრევა!

(მეოთხე გვერდიდან)

3 სექტემბერი იყო და იქ, ერთ-ერთი საწარმოს საწყობში აღმოაჩინეს 8 სექტემბრით დათარიღებული კვერცხი, ეს საწარმო კი დახურეს, მაგრამ სხვაგან რა ხდება, არავინ იცის.

ჩვენ უფლება არ გვაქვს, მოვითხოვოთ, რომ იმპორტირებული კვერცხი საზღვარზე საფუძვლიანად შეამოწმონ, ამ დროს, ქართველ მეწარმეებს ყველანაირად გვამოწმებენ და ძალიან დიდი წნეხის ქვეშ ვიმყოფებით. საბოლოო ჯამში, იმპორტირებული პროდუქციის ხარისხი შეიძლება იყოს ძალიან დაბალი, მაგრამ იაფი და ამით უწევდეს კონკურენციას საქართველოში წარმოებულ მაღალი ხარისხის კვერცხს.

— სხვა ქვეყნებში როგორ აკონტროლებენ ამ სფეროს?

— ჩვენს მეზობელ თურქეთში, მაგალითად, კვერცხის შეტანაზე გადასახადი 108 პროცენტია, ჩვენთან კი — 12%, მარტო ეს 108 პროცენტი კი არა, 30-მდე სხვადასხვა სახის სერტიფიკატია საჭირო, რომ თურქულ ბაზარზე შეგიშვან. უმეტესობა ისეთია, რომ ვერც შეძლებ მის აღებას. სწორედ ამიტომაა, რომ თურქეთი ამ პროდუქციის უმსხვილესი ექსპორტიორი გახდა და იქ ეს დარგი ფეხზე დგას. ეს ეხება არა მარტო კვერცხს, არამედ ყველა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმს. ბოლო 10 წელიწადში თურქეთმა ლამის ბრაზილიის დონეს მიაღწია, რაც სწორი ეკონომიკური პოლიტიკის დამსახურებაა. ამას ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმიტომ, რომ უბრალო კანონის მიღებაც კი ძალიან იჭიმება დროში. ორი წლის განმავლობაში ერთი კანონპროექტის მიღება ვერ მოხერხდა, რომელიც ნამდვილი ხსნაა მეწარმეებისათვის. გატანით ვერსად გაგვაქვს იმიტომ, რომ წარმოება შემცირებულია, თუმცა, სურვილიც რომ გვქონდეს, მაინც ვერსად შევიტანთ. ყველგან — რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, მეზობელ ქვეყნებში ისეთი ბარიერებია დაწესებული, რომ ჩვენი პროდუქცია ვერ შეგვაქვს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ქართული კვერცხი შედიოდა, იყო ერაყი, მაგრამ იქ იმდენად დაბალ ფასად უნდა შევიტანოთ, რომ აზრი არა აქვს. სიტყვიერად გვპირდებიან — დაგეხმარებითო, მაგრამ რანაირად დაგვეხმარებიან — 108 პროცენტს 50-მდე ხომ ვერ დაიყვანენ? რაც შეეხება იმპორტს, ვისაც არ ეზარება, თავისი ნაწარმი აქ ყველას შემოაქვს: მაგალითად, წელს დაფიქსირდა იმპორტი უკრაინიდან, მოლდავეთიდან, ბელორუსიდან, თურქეთიდან...

შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ დარგის დანგრევა მიზანმიმართულად მიმდინარეობს და არა მხოლოდ ამ დარგისა. ჩინოვნიკთა დაპირებები დაპირებებად რჩება, რეალობა კი — სულ სხვაა.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ ტყუილია თუ მართალი?

სამედიცინო მომსახურება გაძვირდა...

რამდენად საფუძვლიანია საქსტატის ეს მტკიცება?

სამედიცინო მომსახურება გაძვირდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სექტემბრის თვეში შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სამედიცინო მომსახურებაზე 3,5%-ით გაიზარდა.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, 2013 წლიდან დღემდე რიგ სამედიცინო მომსახურებებზე ფასები გაიზარდა:

ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციის ღირებულება 30-40 ლარიდან 50-60 ლარამდე;

ინსტრუმენტული გამოკვლევები:

ექოსკოპია 40-დან 50 ლარამდე, რენტგენოგრაფია 25-დან – 30 ლარამდე, გასტროსკოპია 50-დან – 70 ლარამდე, კორონაროგრაფია 500-დან – 800 ლარამდე.

ქირურგიული ოპერაციები:

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება 60-დან – 200 ლარამდე.

მშობიარობა საშუალოდ 1140-დან – 1300 ლარამდე;
საკეისრო კვეთა 1200-დან – 1400 ლარამდე;
ქირურგების ჰონორარები 250-დან – 400 ლარამდე,
ქოლეცისტექტომია 120-დან – 178 ლარამდე;
ტონზილექტომია 250-დან – 500 ლარამდე;

	ჯანმრთელობის დაცვა (10,09%)
190	სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტები
191	ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები
192	ანტიბიოტიკები
193	ვიტამინები
194	საჭმლის მომნელებელი სისტემის პრეპარატები
195	ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები
196	თერმომეტრი
197	სათვალის ლინზები
198	ბამბა
199	შპრიცი
200	თერაპევტის კონსულტაცია
201	სტომატოლოგის მომსახურება (კბილის დაბჟენა)
202	სტომატოლოგის მომსახურება (კბილის ამოღება)
203	სისხლის ანალიზი
204	საავადმყოფოს მომსახურება
205	ქირურგიული მომსახურება
206	სამშობიარო მომსახურება

საქსტატის შეჯამებული მონაცემით, კი სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდა 3,5 % ფიქსირდება. ამ ცვლილებას საქსტატი სამომხმარებლო კალათაში შემავალი სამედიცინო კომპონენტების საფუძვლზე ადგენს.

საქსტატის მიერ შეჯამებულ მონაცემებში შედის სწორედ ის მომსახურებები, რომელთა გაძვირების შესახებაც „კომერსანტმა“ ინფორმაცია მოიპოვა – ქირურგიული მომსახურება, მშობიარობა, სპეციალისტთან კონსულტაცია.

ფასებზე ცვლილებას ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ექიმთა კავშირიც“. ორგანიზაციის წევრის ზურაბ კიკვიძის განცხადებით, ფასები შეცვლილია, თუმცა, მნიშვნელოვანი მატება არ ფიქსირდება.

„2013 წლიდან ისეთ კონკრეტულ მიმართულებებზე, როგორიც არის ანალიზები, ექოსკოპია და კონსულტაცია ფასების მატება ფიქსირდება, თუმცა, უფრო დიდი მატებაა მედიკამენტებზე, რისი მიზეზიც რეცეპტების შემოღებაა“, – აცხადებს კიკვიძე „კომერსანტთან“ საუბრისას.

სტატისტიკური მონაცემების მიუხედავად, კლინიკები მომსახურებაზე ფასის მატებას უარყოფენ. „კომერსანტი“ რამდენიმე კლინიკას დაუკავშირდა, რომელთაგანაც არც ერთ მათგანში ფასების ცვლილება არ დაადასტურეს.

„ავერსის“ კლინიკაში აცხადებენ, რომ გასულ წელთან შედარებით ფასების მატება არ ფიქსირდება.

სამედიცინო მომსახურების გაძვირებას არც კლინიკა „კურაციოში“ ადასტურებენ.

„არაფერზე ფასი არ შეცვლილა, ყველა მომსახურებაზე ფასი უცვლელია“, – აცხადებენ კლინიკაში.

„სამედიცინო კორპორაცია ევექსიც“, რომელიც საქართველოს მასშტაბით, 38 კლინიკას ფლობს, მომსახურების გაძვირებას არ ადასტურებს.

„წინა წლებთან შედარებით „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ქსელში არსებულ სამედიცინო ცენტრებში საფასო პოლიტიკა არ შეცვლილა“, – აცხადებენ კორპორაციაში.

სალომე მეცხვარიშვილი

◎ რაკრაკა პარლამენტარი

აი, თურმე რატომ ჭიკჭიკებს ირმა ნადირაშვილი

ტელევიზიით ირმა ნადირაშვილის სისინს და შხამიან ჭიკჭიკს რომ ვისმენდი ხოლმე, „ქართული ოცნების“ წევრთა მისამართით, გაკვირვებული ვიყავი – ეს ქალაშავა ასე რამ გაამწარა, რომ დაუკბენავს არავის ტოვებს-მეთქი. ახლა ჩემთვის და უამრავი ჩემნაირებისთვის ყველაფერი გასაგებია, პრესაში გამოქვეყნებული მასალეიბდან კარგად ჩანს, რა ფრთიანი ანგელოზიც ყოფილა თავად ქალბატონი ირმა, როცა სხვებს ნეპოტიზმსა და სახელმწიფო სახსრების მითვისებაში ედავება. აბა აგვიხსნას, 2007 წლიდან დღემდე მისმა და მისი მეუღლის დავით დაღელაშვილის შრომის ანაზღაურებამ 600 ათას ლარს როგორ და რა მაქინაციებით გადააჭარბა, როცა ჩვენ, რიგით ადამიანებს საჭმლის ფულიც გვენატრება და აღარ შევედავებით. არადა, სადავო ნამდვილად გვაქვს: „ბინა ბათუმში, აგარაკი, მასზე აშენებული სახლით ბათუმში – საიდან ეს ყველაფერი?!“

აი, თურმე რატომ უდგას კრიჭაში „ქართულ ოცნებას“ ეს ქალბატონი დეპუტატი. ჩვენ კი თავს გვაწონებს, ერის მოამაგედ და კანონიერების უპირველეს დამცველდად სურს თავი შეგვასაღოს. გაყიდული ბრძანდებით, გაყიდული, პირჭიკჭიკა პარლამენტარო!..

ბესო კუტივაძე,
პენსიონერი

◎ ელამი კალმით

ბოლო პერიოდში, ჩემი კოლეგის, ბატონ ბენიტოს (გაზეთ „ექსპორტ-იმპორტის ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრირების“ რედაქტორის) ღვინო-არყის ყლურწვისადმი ტრადიციულ-მამულიშვილური დამოკიდებულების თაობაზე, აგრეთვე, მისი ნაკალმარი სტატიების მაღალ ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებებზე იმდენი ვწერე და ვაპიარე, რომ ამჯერად მკითხველის წინაშე მისი (ბენიტოს) წარდგენა, ალბათ, აღარც კი დამჭირდება. აღარაფერს ვამბობ ამავე გაზეთის ქუჩის კორესპონდენტის (ეგრეთ წოდებული „ქუჩკორის“) ვალერას მაღალკრეატიულ ჟურნალისტურ შემოქმედებაზე, რომელმაც თავისი გაუხუნარი „წერტილოვანი ფრაზებით“ მიშისტების ნაცბანდას მომაკვდინებელი დარტყმები აგემა.

ამ წარმატებათა მიუხედავად, ბენიტო, როგორც პროფესიონალ ხელმძღვანელს სჩვევია, ქართველ ხელისუფალთაგან განსხვავებით, მიღწეულით ყოველთვის უკმაყოფილოა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ევროპარლამენტივით ზოგჯერ აღშფოთებულიც. იმ დილის სარედაქციო თათბირზეც, რომელსაც მე შევესწარი, ლომკაცა ბენიტო ისე ბდღვინავდა, იქ მსხდომ ჟურნალისტებთან ერთად კედლებიც კი ცახცახებდა.

– მორჩა, ბატონო, მორჩა რიჟა ბაზარი! – დასცხო მუშტი ბენიტომ ოვალურ მაგიდას, – აივსო ჩემი მოთმინების ფიალა, ამდენ უსამართლობას, რაც საქართველოში, მის სამეზობლოსა და მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში ტრიალებს, ბოლოს და ბოლოს წერტილი უნდა დაესვას.

– ინტეგრაციასაც, ბატონო ბენიტო – შეექანდა სკამზე ტანხეხელა ვალერა, – მერე, უინტეგრაციოდ ჩვენ გაზეთს რაღა ეშველება?

– ინტეგრაციას მოგცემ, მე შენ! – დააბრიალა თვალები ბენიტომ, – ამ შეკითხვიდანაც მიხვდება კაცი, რა პროფესიონალიცა მყავხარ.

– პროფესიონალობა რა შუაშია, ბატონო, – შებედა შეკამათება ქუჩკორმა, – მე მხოლოდ იმ სივრცეს ვაშუქებ გაზეთში, რომელიც მაბარია, – ქუჩა-ქუჩა სირბილი და „წერტილოვანი ფრაზებით“ ქვეყნის დაუძინებელი მტრების განადგურება.

– გასაგებია, ბატონებო, – ჩაერთო საუბარში ნიკუშა, – ინტეგრაცია ჩემი თემა გახლავთ და ზუსტად იმ დოზით ვაშუქებ, რა დოზითაც ევროპა-ამერიკასთან ჩაინტეგრირებულები ვართ.

– ჰო, ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ზედმეტი დოზით დასავლეთთან ურთიერთობა არ გადაგვიმლაშდეს და ევროსაბჭო არ გაგვინაწყენდეს, – შემოატრიალა ბენიტომ ბიჭები რეალობისკენ, – ისიც გვეყოფა, რომ ახალი მთავრობა პიარში ვერა და ვერ დასპეციალდა და ევროპელ პარლამენტარებს ნაცების მაგივრად ქართული სამართალი ალანძღვინა.

– არადა, ხო შეიძლება „ოცნებას“ ნაცებისგან, სხვა თუ არაფერი, პიარი მაინც ესწავლა? – სცადა ხელისუფალთა ხარჯზე ინტეგრაციიდან გამოძრომა ნიკუშამ.

– კარგით, ჰო, გეყოფათ ყბედობა! – გაწყრა ბენიტო, – მე უფრო ინტეგრაციამ კი არა, იმ რეზოლუციამ აღმაშფოთა, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო

ევრორეზოლუცია

ასამბლეამ ქართული დელეგაციის უთაურობის დასტურად მიიღო.

– ყველაზე ვერ ვიტყვით მაგას, ბატონო ბენიტო, – სცადა მთავრობის გამოსარჩლება ვალერამ, – ხო ჩვენი ყურით მოვისმინეთ, ეკა ბესელია როგორ გულმოდგინებით იცავდა ქართული დემოკრატიის მონაპოვარს.

– ჰო, იქაურ პარლამენტარებს კიდევ იმათი ნალაპარაკები (მიშასგან დარიგებული ნაცების), მოეწონათ ვინც ამ მონაპოვარს აგინებდა და რეზოლუციის ქარგაც ამის მიხედვით ააგეს.

– რატო, ხომ ვერ გვეტყვით?

– იმიტომ, რომ ბესელია ინგლისურს ქართული ინგლისურით ლაპარაკობდა, ევროპელებს კი მხოლოდ ინგლისურად ნალაპარაკები ინგლისური ესმით.

– მერე, ჩვენ რომელი ინგლისურით უნდა წავიკითხოთ, რომ იმათი რეკომენდაციებიდან საჩვენო რამეს მივაგნოთ?

– რა თქმა უნდა, ქართული ინგლისურით.

– რომ ვერაფერი გავუგოთ?

– აქ არ არიან ჩვენებური ნაცები (კანდელაკი, ჯაფარიძე, ჩიორა და მისთანები), მიაკითხეთ და დიდი სიამოვნებით მოგეხმარებიან რეზოლუციის გადმოქართულებაში. ვგონებ, ტექსტში ჩახედვა არც დასჭირდებათ, ის ხომ პრაქტიკულად მათი ნაკარნახევია.

– მაგრამ, თავი რომ დაიფასონ და უარი გვითხრან?

– მაშინ ამერიკაში მოგიწევთ გამგზავრება. ჰე ბიჭო, ვალერა! – შეუძახა ბენიტომ, – ზუსტად შენი საქმეა, ცოტა ხნით მოეშვი თბილისის ქუჩებში ხეტიალს, გადაფრინდი ვაშინგტონში, შეიარე სენატში, გამოელაპარაკე მაკკეინს და ყველაფერს სიტყვა-სიტყვით აგიხსნის.

– მაგრამ, იმან რა იცის, ევროპელმა პარლამენტარებმა რეზოლუციაში რა ჩაწერეს?

– შენ არხეინად იყავი, რა ჩაწერეს კი არა, მაკკეინმა, რაც არ ჩაწერეს და რატომაც არ ჩაწერეს, ისიც მშვენივრად იცის.

– მიშა იქ არა ჰყავს, ყველაფერს ჩაუკარკლავდა, – იეჭვა ნიკუშამ.

– ჰო მართლა, – გამოცოცხლდა ბენიტო, – სულაც შეგიძლია ბრუკლინში ჩაფრინდე და მიშას დაელაპარაკო.

– მიშას სად ვიპოვი, აკი შემოგვჩივლა, პროსტატიტი მაწუხებსო და სამკურნალოდ მთელ დღეს ველოსიპედით დატორღიალობს.

– პროსტატიტი მეცა მჭირს (ეტყობა, მაგ თახსირმა მიშამ გადამდო), მაგრამ საქმეს კი არ ვღალატობ, – წაიტრაბახა ბენიტომ.

– ჰოდა, თქვენც ადექით და სამუშაოს შემდეგ ველოსიპედზე გადაჯექით, – შეაგულიანეს კოლეგებმა, – თან შვილიშვილიც შემოისვით და ერთად იგულავეთ.

– არ ივარგებს, მეგობრებო, – თქვა ნიკუშამ, – გუშინ გაზეთში წავიკითხე, ველოსიპედით ვარჯიში მამაკაცთა ჯანმრთელობისთვის საშიში ყოფილა.

– რატომ? – დაინტერესდნენ ჟურნალისტები.

– ველოსიპედით ხშირი სეირნობა თურმე სპერმის ხარიხს აუარესებს.

– რაო, რაო? – ცქვიტა ყურები მეზობელ ოთახში მყოფმა გუბაზმა (გაზეთის კომერციულმა დირექტორმა) – ეს კარგი გამაგებინეთ. ხვალიდან გაზეთში მიშას სექსუალურ სისუსტეებზე (გონებრივი სისუსტეები უკვე კარგახნის ცნობილია) წერილების სერიას გამოვაქვეყნებთ და როგორღაც ფინანსური გაჭირვებიდან ამოვალთ.

– აბა როგორ, – გაიხარა ვალერამაც, – მიშას პროსტატიტის წყალობით, მე და ბენიტოს ამერიკაში გადასაფრენი თუ არა, ყოველდღიურად ჭიქა არყის ფული მაინც გაგვიჩნდება!

ოთარ ხუციშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდი MOUNT WHITNEY ბათუმის პორტშია მეგობრული ვიზიტით



რუსეთი და აფხაზეთი ემზადებიან მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ახალი ხელშეკრულების ხელმოწერისათვის, საქართველო მის ლეგიტიმურობას არ აღიარებს

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მეექვსე ფლოტის საფლაგმანო საშტაბო ხომალდი 14 ნოემბერს შევიდა საქართველოს ბათუმის ნავსადგურში საქართველოს სანაპირო დაცვასთან ერთობლივი სწავლების დაწყებისათვის, 18 ოქტომბრამდე პერიოდში. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადების თანახმად, „ხომალდის ვიზიტი ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევას, გააღრმავოს ურთიერთობა ნატოს მხრივ ისეთ პარტნიორებთან, როგორიცაა საქართველო, აგრეთვე საერთო მიზნების მიღწევისათვის შავი ზღვის რეგიონში, ისიც მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას ითვალისწინებს.

„Mount Whitney“-ის ვიზიტი არის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდების ვიზიტების გაგრძელება, რომლებიც ადრე ხორციელდებოდა, და ემსახურება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მათს მოკავშირეებსა და რეგიონალურ პარტნიორებთან პროფესიული და ადამიანური ურთიერთობების გაღრმავებას“, — ნათქვამია საელჩოს ცნობაში.

აღსანიშნავია, რომ ამ ხომალდის ეს მესამე ვიზიტია საქართველოში. პირველად იგი შევიდა ფოთის პორტში 2008 წლის 5 სექტემბერს, ერთ თვეზე ცოტა ნაკლები ხნის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ომის დამთავრებიდან. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იგონებდა რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებულ მოვლენებს, აცხადებდა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ დაიწყო სამხედრო ინტერვენცია, საქართველო შეერთებულმა შტატებმა გადაარჩინა. მაშინ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაშინ საქართველოს ჯარებმა შეძლეს, თავისი წინააღმდეგობით შეეჩერებინათ რუსეთის სამხედროების წინსვლა, და ამით მიიღეს შესაძლებლობა, „მოეგოთ ომი“ და მომხდარ ამბებში ჩაერთოთ საერთაშორისო გაერთიანება. ასევე, სააკაშვილის სიტყვებით, შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდების გაგზავნა საქართველოში გახდა „სიგნალი“ რუსეთისათვის. ამის შესახებ ხომალდი კიდევ ერთხელ იყო საქართველოში, ხუთი წლის შემდეგ 2013 წლის ნოემბრეში.

„ახალი მიდგომები“

იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო აღრმავებენ თანამშრომლობას, რუსეთი და აფხაზეთი აგრძელებენ საინტეგრაციო პროცესებს. 13 ოქტომბერს აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნეს რუსეთის მიერ შემოთავაზებული ახალი ხელშეკრულების პროექტი მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რომელშიც გათვალისწინებულია საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის, აგრეთვე რუსეთისა და აფხაზეთის ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა გაერთიანებული სარდლობით — „აგრესიის მოსაგერიებლად (შეიარაღებული თავდასხმა)“. თანაც, ომის დროს, „აგრესიის პირდაპირი საფრთხის პირობებში“, რუსეთი ნიშნავს გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების სარდალს.

„აგრესიის აქტის (შეიარაღებული თავდასხმის) შემთხვევაში შეთანხმების ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ მეორე შეთანხმებული მხარე გაუწევს მას დახმარებას, მათ შორის, სამხედრო დახმარებასაც, აგრეთვე მხარს დაუჭერს მის განკარგულებაში არსებულ საშუალებებს კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების სახით“, — ნათქვამია პროექტის ტექსტში.

ამავე დროს, მოსკოვი სთავზობს სოხუმს „რუსეთ-აფხაზეთის სამხედრო საზღვრის გადაკვეთის სრულ თავისუფლებას იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც მყარდება უშიშროების მიზნით“. ამავე დროს შემოთავაზებულია „ძალებისა და საშუალებების ეტაპობრივი შემცირება, რაც ხორციელდება დაცვის მიზნით რუსეთ-აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარზე“, რათა შესაძლებელი იყოს მათი გადაადგილება „აფხაზეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე“. წინასწარ ტექსტში ასევე ნათქვამია რუსეთის მზადყოფნის შესახებ — განახორციელოს „ერთობლივი კონტროლი“ სასარდლო-გამტარ პუნქტებში აფხაზეთში შესვლისათვის, აგრეთვე ადამიანების გადაყვანისათვის, ტრანსპორტისა და ტვირთების გადაზიდვისათვის ნავსადგურებში.

ხელშეკრულების პროექტში გათვალისწინებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე „შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საკოორდინაციო ცენტრის შექმნა, საერთოეკონომიკური და საბაჟო სივრცის — ჩამოყალიბება, აგრეთვე რუსეთის მიერ დაფინანსების შეთავაზება სოციალური დაცვის, საპენსიო უზრუნველყოფის, სამედიცინო და სოციალური დაზღვევის სფეროებში.

წინასწარ ტექსტში ასევე საუბარია რუსეთის მიერ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მეცნიერების თანადაფინანსების გაზრდის შესახებ სტანდარტების რუსეთის დონემდე ეტაპობრივი მიყვანის მიზნით. ხელშეკრულების პროექტის თანახმად, მოსკოვი ამავე დროს კისრულობს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს აფხაზეთის საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებას, მათ შორის მისი საერთაშორისო აღიარების გაფართოებასაც.

აფხაზური წყაროების ინფორმაციით, ხელშეკრულების წინასწარი ტექსტი უკვე გაიგზავნა განსახილველად აფხაზეთის პარლამენტში, რომელიც შეისწავლის მას ოქტომბრის განმავლობაში. როგორც აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, **„ამ დოკუმენტის განხილვის პროცესი და მასთან დაკავშირებით წინადადების გამომუშავება მოხდება ღიაობის ატმოსფეროში და აფხაზეთის ხალხის ინტერესების გათვალისწინებით“.**

ხაჯიმბამ 13 ოქტომბერს აფხაზ დეპუტატებთან შეხვედრაზე განმარტა, რომ რეგიონში მიმდინარე იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ **„აფხაზეთის უშიშროების პოტენციურ საფრთხეს“, აუცილებელია, „გამოვიმუშავოთ ახალი მიდგომები სუვერენული სახელმწიფოს განმტკიცების საკითხთან დაკავშირებით“.**

როგორც რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ვლადისლავ სურკოვმა ადრე განაცხადა, ახალი ხელშეკრულება რუსეთისა და აფხაზეთის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელმოწერილი იქნება 2014 წლის ბოლომდე. მან აგრეთვე გვაცნობა, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან „მოძმე აფხაზეთის საფინანსო მხარდაჭერა გაიზრდება ორჯერ და უფრო მეტად“.

თბილისის რეაქცია

ოფიციალურმა თბილისმა განაცხადა აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის ახალი ხელშეკრულების არალეგიტიმურობის შესახებ.

„საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ნებისმიერ დოკუმენტს, რომელსაც ღებულობს ამ უღიარებელი ობიექტის პარლამენტი, არ აქვს არანაირი სამართლებრივი საფუძველი... აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც ცხინვალის რეგიონი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში, საერთაშორისო ზემოქმედების დახმარებით, ჩვენ დავიწყებთ დეოკუპაციის პროცესს“, — განაცხადა 14 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

ამავე დროს, ოპოზიციური ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თანახმად, სეპარატისტული ხელისუფლება აწარმოებს „უკიდურესად ბეცა პოლიტიკას“, რის შედეგადაც იგი თავად უწყობს ხელს თავის „კიდევ მეტ იზოლაციას ცივილიზებული სამყაროსაგან“, და მთლიანად დაუმორჩილებს თავის თავს რუსეთის კონტროლს.

„ეს ყოველივე შეიცავს მათთვისვე ძალიან ბევრ რისკს“, — განაცხადა 14 ოქტომბერს მასობრივი ინფორმაციის საშუალებისთვის მიცემულ კომენტარებში დეპუტატმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან დავით დარჩიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგად 2008 წელს, რუსეთმა აღიარა საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის — დამოუკიდებლობა და თავის სამხედრო ბაზებში ამ ტერიტორიებზე შეიყვანა დამატებითი ჯარები და შეიარაღება. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — ამ რეგიონებს აღიარებს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

გაერო: მსოფლიო ეგოლას ციებცხელებასთან ომში აგებს, 1 დეკემბერს გადამწყვეტი ბრძოლაა

დაავადებულთა რიცხვი გეომეტრიული პროგრესით იზრდება და მალე შეიძლება მიაღწიოს ათი ათას კაცს კვირაში. დღეისათვის ვირუსთან ბრძოლისათვის მიღებული ზომები არასაკმარისია. თუ 1 დეკემბრამდე არ შესრულდება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები, მსოფლიო გაერთიანება გადაეყრება „უპრეცედენტო სიტუციას“.

* * *

ჩერნობილში ახალ სარკოფაგს 2 წლით გვიან ააშენებენ, და იგი ორჯერ უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ვარაუდობდნენ

თავად ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე არ არის გამორიცხული, რომ ახალი სარკოფაგის კონსტრუქცია საბოლოოდ აიწყოს, ალბათ, 2015 წელს. სახელმწიფო სააგენტოში აღნიშნავენ, რომ სამუშაოები უნდა დამთავრდეს მაქსიმუმ 8 წლის განმავლობაში: სწორედ ამდენ ხანს, ექსპერტების შეფასებით, შეიძლება გაუძლოს ძველმა სარკოფაგმა.

* * *

აშშ არმიამ ერაყში მაინც ალმოაჩინა ქიმიური იარაღი, გამოარკვია პრესამ

ამერიკელმა და ერაყელმა სამხედროებმა 2004-დან 2011 წლამდე ათასამდე ერთეული ქიმიური იარაღი აღმოაჩინეს, მათ შორის რაკეტებისა და საავიაციო ბომბების ქობინებიც. შვიდიდან როგორც მინიმუმი ექვს შემთხვევაში ისინი ამ დროს განიცდიდნენ მომწამვლელი გაზების ზემოქმედებას. დაზარალებულთა ნაწილმა თავის დროზე ვერ მიიღო სათანადო დახმარება.

* * *

სეულმა და ფხენიანმა პირველად შვიდი წლის განმავლობაში დაიწყეს სამხედრო მოლაპარაკება მაღალ დონეზე ორი ძვეყნის საზღვარზე

ორივე კორეა იძულებული იყო, ოპერატიულად დაეწყოთ მოლაპარაკება, რათა გამოეძებნათ შესაძლო გზები კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის მოხსნისათვის მას შემდეგ, რაც მხარეებმა გაცვალეს სროლები სახმელეთო და საზღვაო საზღვრების გასწვრივ. უცნობია, თუ რომელი სამხედრო ხელმძღვანელები ესწრებიან შეხვედრას და რა საკითხებს განიხილავენ.

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „15 ოქტომბრის“
№ ს-604 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ბ) ობიექტის დამუშავების შემდეგ უნდა მოხდეს წარმოქმნილი ქვაბულის რეკულტივაცია, ან მისი სხვა მისი სხვა სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენება; გ) მოპოვება უნდა განხორციელდეს დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, დაბა ხელვაჩაურის მიმდებარე ტერიტორია, ,,მდ. ,,ჭოროხის ორ უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება” (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 23 400 მ³, I-უბანი - 11 400მ³, მე-II უბანი - 12 000მ³).
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, დაბა ხელვაჩაური.
7	აუქციონის საწყისი ფასი	4 069,57 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	406,96 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ რეპლიკა

არა, ბატონო!

„პალიტრამ“ 2012 წელს გამოსცა ილიას თხზულებანი, I ტომში დაბეჭდილია თარგმნილი ლექსი „ბედა მქადაგებელი“, როგორც გოეთეს ქმნილება (გვ. 232).

მსგავსი სახელწოდებისა და შინაარსის ლექსს გოეთეს ნაწერებში საერთოდ ვერ მოძებნით.

არაერთხელ დავბეჭდე (მიუთითეს სხვებმაც), რომ ეს გახლავთ იაკობ პოლონსკის ცნობილი ნაწარმოები.

პოლონსკიმ რომ პირველი კრებული გამოსცა, ბელინსკიმ სასტიკად გააკრიტიკა. განაწყენებული მოშაირე საქართველოში („რუსთა იტალიაში“) გამოემგზავრა. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1841-1851 წლებში, შეისწავლა ქართული, აღწერდა ჩვენებურ გარემოს. რუსებს შორის პირველმა უძღვნა ლექსი რუსთაველს. მოგვიანებით გაიცნო ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე; აქაურმა ადამიანებმა და ბუნებამ ისე კეთილისმყოფელი ზეგავლენა იქონიეს მასზე, რომ შექმნა საგულისხმო ნიმუშები. ის რუსეთში დიდებით მოსილი დაბრუნდა.

სწორედ ილიას ჭაბუკობაში (1857 წელს) გახლდათ დიდების ზენიტში რუსი მგოსანი და პეტერბურგში მყოფმა ახალბედა კალმოსანმაც მისი ქმნილება დიდის მოწადინებით გადმოაენა.

მივმართავ უსაქმურ რედაქტორებს:

ამიერიდან მაინც გაასწორეთ ეს კურიოზი!

მურმან თავდიშვილი

◎ ალიანჩალიანი

აფხაზეთის ფაქტობრივად რუსეთთან მიერთებაზე განგაშის ზარები უნდა ისმოდეს

საქართველოს ხელისუფლების რეაქცია აბსოლუტურად არაადეკვატურია იმ ხელშეკრულებაზე, რომლითაც აფხაზეთის ფაქტობრივად რუსეთთან მიერთება ხდება, — ამის შესახებ „ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის“ თანადამფუძნებელმა ხათუნა ლაგაზიძემ განაცხადა.

„ხელშეკრულება, რომლის გაფორმებაც იგეგმება რუსეთის ფედერაციასა და დე ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლებას შორის, ნათლად მიუთითებს, რომ ეს თავისი შინაარსით, შედეგობრივად არის თითქმის იგივე, რაც ყირიმის მიერთება რუსეთის მხრიდან. გასაგებია, რომ იქ არის საუბარი გაერთიანებული სამხედრო ძალების შექმნაზე, რომლის მეთაურიც კრიზისულ სიტუაციებში ინიშნება რუსეთისგან და გარდა ამისა, აფხაზეთის მცხოვრებლებს უფლება ეძლევათ, გაიარონ სამხედრო სამსახური რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში. თუმცა, ასევე, არის ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი: აფხაზეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს კურირებას გაუწევს რუსეთის შს სამინისტრო, ანუ შიდა საქმეების და სამართალწარმოების ფუნქციასაც რუსეთი იღებს - ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ აფხაზეთი, როგორც ე.წ. დამოუკიდებელი წარმონაქმნი რუსეთისთვის, აბსოლუტურად უქმდება და ის ხდება რუსეთის ერთ-ერთი რეგიონი, ანუ დე ფაქტო სტატუსსაც ვეღარ ინარჩუნებს“ — განაცხადა ლაგაზიძემ.

მისი თქმით, ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლების რეაქცია სრულიად არაადეკვატურია.

„წავიკითხე საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ეს საფრთხეს შეუქმნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებას. რომელ ნორმალიზებაზეა საუბარი? ხელშეკრულების თანახმად, ეს შედეგობრივად არის ტოლფასი ყირიმის რუსეთთან მიერთებისა და როგორ შეიძლება, ამას ასეთი ცალყბა განცხადებით ხვდებოდეს ოფიციალური თბილისი? არც იმას ვამბობ, რომ აბჯარი უნდა ავისხათ და საომრად ვემზადებოდეთ, მაგრამ ახლა განგაშის ზარები უნდა ისმოდეს ყველა მიმართულებით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში და მეგობარ სახელმწიფოში, რომ ეს არის ფაქტობრივი ანექსია და აუცილებლია ძალიან მკვეთრი რეაგირება. მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ხვალ და ზეგ არ დადგეს საკითხი, საქართველომ თავისი სიჩუმით ირიბად ცნოს ამ ხელშეკრულებით დამდგარი ფაქტი, ანუ აფხაზეთის რუსეთთან მიერთება“, — აღნიშნა ხათუნა ლაგაზიძემ.

თბილისელებს კომუნალური ვაუჩერები წელსაც დაურიგდებათ

თბილისის მერია დედაქალაქის მცხოვრებლებს კომუნალურ ვაუჩერებს წელსაც დაურიგებს. როგორც დედაქალაქის მერიის პრესსამსახურში განაცხადეს, ჯერ უცნობია იმ თანხის ოდენობა, რომელიც აბონენტებს ყოველთვიურად დაერიცხებათ.

მათივე ინფორმაციით, ვაუჩერების დარიგება, სავარაუდოდ, ნოემბერ-დეკემბერში დაიწყება.

ამასთან, მერიის სოციალური სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის ინფორმაციით, წელს ვაუჩერები გაცილებით გაუმჯობესებული იქნება. თბილისის მერიამ გასულ ორ წელს დედაქალაქში რეგისტრირებულ თითოეულ აბონენტს 100-ლარიანი კომუნალური ვაუჩერი დაურიგა. 5 თვის (ნოემბერ-მარტი) განმავლობაში თითოეულ ოჯახს ანგარიშზე 20 ლარი ერიცხებოდა. სოციალურად დაუცველი ოჯახები კი, რომელთაც 70 ათასზე ნაკლები სარეიტინგო ქულა ჰქონდათ, 250-ლარიან ვაუჩერს იღებდნენ.

გერმანელი კარდიოქირურგის უფასო კონსულტაციები

ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში გერმანელი კარდიოქირურგი უფასო კონსულტაციებს ჩაატარებს. როგორც „სამედიცინო კორპორაცია ევექსიდან“ იტყობინებიან, გერმანელი კარდიოქირურგი, პროფესორი ალექსანდრე ჯონი აჭარაში ერთ თვეს დაჰყოფს. მან აჭარის მოსახლეობისათვის უფასო კონსულტაციების დღეები ჩანიშნა. 16 ოქტომბერს ევროპის წამყვანი კარდიოქირურგი ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში ადგილობრივ მოსახლეობას კონსულტაციებს გაუწევს. 18 ოქტომბერს კი „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ინიციატივითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით უფასო სამედიცინო კონსულტაციები ხულოს რაიონულ ჰოსპიტალში ჩატარდება.

ინტერპრესი

◎ ფარიკაობა

გზა კვარცხლბეკისკენ ხელით გაიკაფეს

თურძულ ბურსაში დასრულდა მოხმალავეთა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი (სატელიტი). საასპარეზოდ 10 ქვეყნის 31-მა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდნენ 23-წლამდელებში ევროპის მე-3 პრიზიორი ბექა ბაზაძე, კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი მიხეილ მარდალეიშვილი და 2014 წლის მსოფლიოს ახალგაზრდობის მეორე ოლიმპიური თამაშების მონაწილე, 15 წლის ნიკა შენგელია (მსაჯად იყო მიწვეული ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი დავით სახვაძე).

ჩვენი გუნდიდან ბექა ბაზაძემ და ნიკა შენგელიამ იყოჩაღეს. პლეი ოფში ბაზაძემ ჯერ ემრე კოკალს (თურქეთი) სძლია — 15:14, მერე ჰაკან აკგუნის (თურქეთი) მძლეველ (15:7) თანაგუნდელ მარდალეიშვილს აჯობა — 15:7, ნახევარფინალში მასპინძელ აჰმეტ იბრაჰიმს მოუგო — 15:12 და ფინალში გავიდა, სადაც ახალგაზრდა თანაგუნდელ ნიკა შენგელიას დაუპირისპირდა. 15 წლის მოფარიკავემ ზედიზედ დაამარცხა ენვერ ილდირიმი (თურქეთი, 15:11), ფათიხ მეჰმეტი (თურქეთი, 15:12) და აზარ ტაგიევი (აზერბაიჯანი, 15:14). გადამწყვეტი პაექრობისას 10 წლით უფროსმა ბაზაძემ დაამარცხა შენგელია 15:6 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ვერცხლის მედალი ნიკა შენგელიას ერგო, ბრინჯაო — აზარ ტაგიევსა და აჰმეტ იბრაჰიმს. მარდალეიშვილი მე-6 ადგილს დასჯერდა.

ლეძსო ცინცაძე

სურათზე: ბექა ბაზაძე.

◎ ხელბურთი

ისინი თბილისში იასპარეზებენ

გაისად თბილისი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. მის პროგრამაში სახელბურთო ტურნირიც შედის. მედლებისთვის კონტინენტის 8-8 უძლიერესი ახალგაზრდული ნაკრები დაუპირისპირდება ერთმანეთს. უკვე გაირკვა ფესტივალში მონაწილე გუნდების ვინაობა. ესენი არიან: **ჭაბუკებში** - საფრანგეთი, უნგრეთი, ესპანეთი, დანია, სლოვენია, ნორვეგია, შვედეთი და საქართველო, როგორც ორგანიზატორი ქვეყანა (სათადარიგო ქვეყნები არიან: შვეიცარია, გერმანია, პოლონეთი, ისლანდია და ხორვატეთი), **გოგონებში** — რუსეთი, დანია, ნორვეგია, ჩეხეთი, რუმინეთი, გერმანია, ჩერნოგორია და საქართველო (სათადარიგოები: შვედეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, ხორვატეთი და პორტუგალია).

1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა საპაექროდ შეიქმნება 2-2 ჯგუფი, რომლებიდანაც 2-2 საუკეთესო ფინალის საგზურებისთვის იბრძოლებს. შეხვედრები 2015 წლის 26-31 ივლისს თბილისის ახალ სპორტის სასახლეში გაიმართება.

გივი გაგუა

◎ ევრო — 2016

...მას გიბრალტარი ჰქვია

დიახ, მოიძებნა გუნდი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრები მოერია. მართალია, სხვათაგან განსხვავებით ჩვენ გიბრალტარს მხოლოდ სამი მშრალი გოლი გავუტანეთ, მაგრამ წაქცეულის ცემა რა საკადრისია — ჩვენ ხომ ტოლერანტობით გამოვირჩევით, ოღონდ სხვათა მიმართ.

ნაღდი ბრძოლა 14 ნოემბერს თბილისში გველის. თრთოდეთ, პოლონელებო — თქვენ გამოცდას თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი „ჯვაროსნები“ მოგიწყობენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ხურციძემ და ხოტენაშვილმა იმარჯვეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცში საქართველოს გრან პრის გათამაშების მესამე ეტაპი გაიმართა ქალთა შორის. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები მონაწილეობდნენ.

9 შესაძლებლიდან 6,5 ქულით სწრაფ ჭადრაკში პირველი ადგილი ნინო ხურციძემ დაიკავა. მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვეს ბელა ხოტენაშვილმა და მირანდა მიქაძემ, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მათ, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები ერგოთ.

ელვისებურ ჭადრაკში ყველას ბელა ხოტენაშვილმა აჯობა — 9 პარტიიდან მან 7 ქულა მოაგროვა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. 6.5-6.5 ქულით მეორე-მესამე ადგილები სოფიო ნიკოლაძემ და მაია ლომინეიშვილმა გაინაწილეს.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან — ბელა ხოტენაშვილი, მირანდა მიქაძე, ნინო ხურციძე.

◎ გამოიცა

ღირსეულნი

ქართულ ფეხბურთს არაერთი შეხმატკბილებული ტანდემი ახსოვს, რომელთა ძალისხმევასაც გულშემატკივართათვის ზღვა სიხარული უჩუქებია. ზვიად სიჭინავასა და დემიკო ლოლაძის თანამშრომლობა ამ მხრივ მართლაც რომ უნიკალურია — უკანასკნელ წელიწადნახევარში ფედერაციის პრეზიდენტის თანადგომით აღიარებულმა მწიგნობართუხუცესმა უკვე ტყავის ბურთის დიდოსტატებისადმი მიძღვნილი მეექვსე კრებული გამოაცხო, თანაც სტახანოვურ ტემპში — ორ თვეში მოასწრო დღევანდელი იუბილარის — 70 წლის „სერგო კუტივაძის“ მასალის შეგროვება, მისი საუბრების მოსმენა-ჩაწერა, ფოტოების გადაღება, ტექსტის დაბეჭდვა-წაკითხვა, კორექტირება, დაკაბადონება, რედაქტირება, საბოლოო ვარიანტის დისკზე გადატანა, სტამბაში წაღება და დაბეჭდვა.

თავის მხრივ, აღნიშნული გამოცემით თვით ბატონი დემიკოც, გარკვეულწილად, მორიგ იუბილეს შესწვდა — დიახ, მის მიერ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის ქომაგთა წიგნის თარო უკვე 50-ე(!) ნაღვაწმა დაამშვენა, ერთ თვეში კი დღის სინათლეს ტაშკენტი — 64-ის „ოქროს მატჩისადმი“ მიძღვნილი უმნიშვნელოვანესი სქელტანიანი კრებული იხილავს. ასე რომ, დაიწყო დროის ახალი ათვლა.

რაც შეეხება ქართული ფეხბურთის ღირსეულ წარმომადგენელს, სერგო კუტივაძე 1944 წლის 16 ოქტომბერს ალმა-ათაში დაიბადა. უძლიერესი დარტყმებით გამორჩეული ნახევარმცველი თამაშობდა ქუთაისის „იმერეთსა“ და „ტორპედოში“, თბილისის „დინამოში“, იყო საბჭოთა კავშირისა და ახალგაზრდული



ნაკრებების წევრი, საკავშირო ჩემპიონატების სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი და თასის გათამაშების ფინალისტი, „ენძელას“ თასის მფლობელი. ქვეყნის ჩემპიონატებში გამართულ 247 შეხვედრაში გაიტანა 22 გოლი, მათ შორის თბილისის „დინამოში“ — 119 (13), ხოლო ქუთაისის „ტორპედოში“ — 128 (9).

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ნაყოფიერ სამწვრთნელო საქმიანობას ეწეოდა, რაც დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭებით დაგვირგვინდა. ღირსების ორდენოსანი ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე და სფფ აღმასკომის წევრია.

დანარჩენს დაინტერესებული მკითხველი გამოცემის ფურცლებზე გაეცნობა. დარწმუნებული ვარ, არც ინანებს.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგით

წინა კვირას ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალთა და ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. ქართველთა მონაცემები ასეთია:

ქალთა ერთეულებში. 212 (213). სოფიო შაფათავა (244 ქულა), 308 (307). ეკატერინე გორგოძე (127), 449 (464). სოფიო ქვაცაბაია (69), 454 (456). ოქსანა კალაშნიკოვა (67), 638 (640). მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი (34), 710 (718). მარიამ ბოლქვაძე (25), 1160 (1164). თამარ კუტუბიძე (5), 1252 (1261). თამარ ჭალაგანიძე (3).

წყვილებში. 73 (72). კალაშნიკოვა (1125), 169 (176). შაფათავა (373), 413 (419). გორგოძე (110), 434 (438). ქვაცაბაია (98), 977 (983). ბოლქვაძე (16), 1213 (1214). ჭალაგანიძე (7).

ვაჟთა ერთეულებში, 219 (219). ნიკოლოზ ბასილაშვილი (219), 580 (594). ალექსანდრე მეტრეველი (52), 895 (903). გიორგი ცივაძე (16), 1114 (1078). გიორგი ჯავახიშვილი (8), 1408 (1414). ალექსანდრე ბაკში (3), 1722 (1727). ირაკლი მეტრეველი (1).

სოფიო შაფათავას აშშ-ის 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში უნდა ეთამაშა, მაგრამ ტრავმის გამო შეჯიბრებიდან მოიხსნა.

ეგვიპტურ შარმ ელ შეიხში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ანა ქადაგიძემ ანასტასია ჟოვტიუკთან (უკრაინა) წააგო — 2:6, 0:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ყაზახური ჩიმკენტის ვაჟთა 10.000-იან ტურნირში ალექსანდრე მეტრეველმა და გიორგი ცივაძემ სასტარტო შეხვედრები მოიგეს, შესაბამისად, ტიმურ ხაბიბულინსა და პაველ პეტროვთან (ორივე ყაზახეთი), თანაც ერთნაირი ანგარიშით — 6:3, 6:1.

დავით პატარაია

სურათზე: სოფიო შაფათავა.

◎ მილოცვა

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „**მამულიშვილთა გახსენება**“ მიესალმება და გულთბილად ულოცავს **დაბადების საიუბილეო 70 წელს** საქართველოს სახელოვან მამულიშვილს, გამოჩენილ მეცნიერს, მედიკოსს, მკურნალს, მსოფლიოში სახელგანთქმულ უროლოგ-ქირურგს, ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს, აკადემიკოსს **ლაური მანაგაძეს**. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ოჯახისა და ჩვენი ბედკრული სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.

ღრმა პატივისცემით
ბონდო კოზაძე,
ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.

საქართველოში გარდაცვლილთა რიცხვი მცირდება

2012-2013 წლების ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად გარდაცვალებათა რიცხვის შემცირება დაფიქსირდა, – ამის შესახებ ინფორმაცია ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ დეპუტატებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიაწოდა.

მისი განმარტებით, შემცირებულია გარდაცვალების შემთხვევები ერთ წლამდე ასაკის ბავშვებშიც, „რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებული პრობლემა იყო“.

„საგრძნობლად შემცირდა აბორტების რიცხვი, რომელიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იყო მზარდი. ბოლო წლების განმავლობაში პირველად დაფიქსირდა შობადობის გაზრდა და, შესაბამისად, გაიზარდა ბუნებრივი მატების კოეფიციენტი. ეს არის ჩვენი ხელისუფლების ორწლიანი მმართველობის შედეგი. ვიტყვი იმას, რომ ჩვენ შევძელით შეუძლებელი. ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი და ამ პოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით განხორციელებული პროექტები“, – განაცხადა ხუნდაძემ.

დეპუტატის განმარტებით, მინიმუმამდეა დაყვანილი სააფთიაქო ნარკომანია, რომელიც ბოლო პერიოდში ჰყვაოდა.

◎ ნიკოობა – 2014

გვექნება დიდი მამულიშვილის სახელობის ფონდი

„ელირსება კი ოდესმე ჩვენი უბედური ქვეყანა, რომ მის საქმეთა სათავეში, მის მეთაურად, მისი საჭიროების გამომხატველად, მისი ენერგიის წარმმართველად თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული წინამძღოლები ჰყავდეს? თუ მას ელის დაღუპვა ისე, რომ ვერ ეღირსოს ნათელს და იმ მეთაურთა მსხვერპლი შეიქმნეს, ვინც ვერც კი ხვდება თავის გონებრივ სიბნელეს და ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს“ – ეს წერილი თითქმის ას ათი წლის წინათ მისწერა დიდმა ნიკო ნიკოლაძემ ჭიათურის მარგანეცის მმართველ საბჭოსა და პეტერბურგის უმაღლეს ხელისუფლებას, რათა ფოთის პორტის რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხა მოეპოვებინა.

საუკუნის შემდეგ დიდი მოაზროვნისა და მამულიშვილის ეს მოწოდება, ხელისუფლებასთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოებისა და მის მიერ არჩეული მთავრობის სამოქმედო დევიზად უნდა იქცეს და დღესაც აქტუალურია. ტყუილად კი არ თვლიდნენ ნიკო ნიკოლაძეს დიდი ილია ჭავჭავაძის არამარტო თანამოაზრედ, არამედ ბევრ საჭირბოროტო საკითხებში მის გზამკვლევადაც კი.

დიდი მოაზროვნე, მამულიშვილი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე ჯვართამაღლების დღეს, 27 სექტემბერს დაიბადა და მისი დღეობა, რომელიც მადლიერმა შთამომავლობამ „ნიკოობად“ აქცია, ყოველ წელს აღინიშნება მის დედულეთში – სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, სადაც ნიკო ნიკოლაძე დასახლდა...

წლეულსაც საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თაოსნობით დიდ ჯიხაიშს ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატ ჟურნალისტთა ნაწილი ესტუმრა, სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის დაიმსახურეს ეს ღირსეული პრემია. ჯიხაიშელებმაც საკადრისი პატივი მიაგეს თანამემამულის სახელობის პრემიის ლაურეატებს **ანზორ ბაბუხადიას, თენგიზ გაჩეჩილაძეს, ფრიდონ დოჩიას, გუბაზ მეგრელიძეს, ივანე ჯაფარიძეს, იზა ჯაჭვაძეს, მარინე თექთუმანიძეს, ნიკო ნიკოლაძის შემოქმედების შესანიშნავ მკვლევარს, მეცნიერ დალი ჩიკვილაძესა და საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს მამუკა ვაშაკიძეს.**

თავად ნიკო ნიკოლაძე თავისი პუბლიცისტიკით სამოც წელზე მეტხანს ემსახურა პრესას, ამიტომაც დამსწრე საზოგადოებამ, სტუმრად მოწვეულმა პარლამენტარებმა **ბიძინა გუჯაბიძემ, მერაბ კაჭახიძემ, ომარ ნიშნიანიძემ, გაგა კახიანმა,** იმერეთის გუბერნატორმა **ზაზა მეფარიშვილმა** ერთხმად აიტაცეს და საშურ საქმედ ჩათვალეს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის **ჰამლეტ გეგიას**ს წინადადება ჟურნალისტთა კავშირის ბაზაზე და კავშირის პასუხისმგებლობით დაფუძნებულიყო ნიკო ნიკოლაძის სახელობის ფონდი, კინოდოკუმენტალისტებს კი შეექმნათ დოკუმენტური ფილმი დიდ მამულიშვილზე, ხოლო ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატებისთვის პრემიის გადაცემა მომხდარიყო სოფელ დიდ ჯიხაიშში დიდი მამულიშვილის სახლ-მუზეუმში.

წლეულს ნიკოობაზე კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა **ივანე ჯაფარიძემ** სახლ-მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ **ლია ბიბილეიშვილს** გადასცა უნიკალური ექსპონატი – ნიკო ნიკოლაძის ვაჟის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის **გიორგი ნიკოლაძისა** და ცნობილი მთამსვლელის **შურა (ალექსანდრა) ჯაფარიძის** პირადი მიმოწერის ამსახველი წერილები, რომლის არსებობაც დღევანდლამდე უცნობი იყო.

ავთანდილ გექაური

სურათზე: ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატთა ერთი ჯგუფი სოფელ დიდ ჯიხაიშში; ნიკოობის დღესასწაული გვიან საღამომდე გაგრძელდა.

◎ ალიანჩალიანი

იპოთეკარები საქართველოდან წასვლით იმუქრებიან

გუშინ ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან იპოთეკით დაზარალებულების აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები დეპუტატებთან შეხვედრას და მათი პრობლემის დროულად მოგვარებას ითხოვდნენ.

,,ცხოვრება აღარ გვინდა, ისეთ მდგომარეობაში ვართ. არავინ გვაქცეს ყურადღებას. არადა, ჩვენი პრობლემები დღითი-დღე იზრდება. იპოთეკის ფულს ვეღარ ვიხდით და სახლებიდან გასახლება გვემუქრება. თუკი არავინ მოგვაქცევს ყურადღებას, საერთოდ წავალთ საქართველოდან“, – აცხადებენ აქციის მონაწილეები.

იპოთეკით დაზარალებულები ხელისუფლებას დროულად რეაგირებისაკენ მოუწოდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან.

აკრძალული მედიკამენტები საზღვარზე შემოჰქონდათ

შემოსავლების სამსახურმა საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგის“ ტერიტორიაზე აკრძალული მედიკამენტების შემოტანის მცდელობა აღკვეთა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, ამოღებულია ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები „ლირიკა“ – 35 კაფსულა, „სტაუროდორმი“ – 30 აბი და „ნესტროლანი“ – 47 აბი.

მედიკამენტები რუსეთის მხრიდან შემოსულ უკრაინის მოქალაქე მ.ა.-ს ხელბარგის დათვალიერებისას აღმოაჩნდა. საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტის „სედალგინ ნეოს“ –8,5 აბი და 4 გრამი მარიხუანას შემოტანის მცდელობის ფაქტიც აღკვეთეს. მედიკამენტები სგპ „წითელ ხიდზე“ აზერბაიჯანის მოქალაქე ა.უ.-ს შემოჰქონდა.

აღნიშნული საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

სპარტაკ ქობულია, ვილენ მარდალეიშვილი, ვაჟა დანელია, ოთარ ტურაბელიძე, მამუკა ვაშაკიძე, გია პლატონიშვილი თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს თამაზ მიგრიაულს

დედის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

გაზის გაჟონვამ კინაღამ ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

თბილისში, ხვიჩიას ქუჩაზე 23-ე კორპუსში 83 წლის მოხუცი გაზის გაჟონვის შედეგად მოიწამლა. ადგილზე იმყოფებოდნენ საპატრულო, სახანძრო-სამაშველო, ასევე სასწრაფო დახმარების ბრიგადები და კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენელი.

როგორც კორპუსის მცხოვრებლები აცხადებენ, მათ ბუნებრივი აირის სუნი იგრძნეს და ამის შემდეგ გამოუძახეს სამაშველო სამსახურს. სამი მაშველი მესამე სართულზე აივნიდან გადავიდა ბინაში. როგორც ისინი აცხადებენ, ბინაში გაზის სუნი იდგა.

ბინაში მცხოვრები უგონო მდგომარეობაში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

აფეთქება თბილისში

თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ძმები ორბელიანების ქუჩაზე ერთსართულიან კერძო სახლში აფეთქება მოხდა. როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახურში განაცხადეს, აფეთქების შედეგად ერთი მამაკაცი დაშავდა. დაშავებული ნანგრევებიდან გამოიყვანეს და საავადმყოფოშია გადაყვანილი.

შემთხვევა, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის აფეთქებამ გამოიწვია.

მყინვარწვერი 9 ტონა ნაგვისგან გაასუფთავეს

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, მყინვარწვერის მიმდებარე ტერიტორიაზე დაასუფთავების აქცია მოეწყო.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან იტყობინებიან, აქციაში მყინვარწვერთან მდებარე ბეთლემის ქოხის თანამშრომლები და ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობდა. ზღვის დონიდან 3653 მეტრზე, 9 ტონა ნაგავი მოგროვდა. ნარჩენები მყინვარიდან სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის საშუალებით გაიტანეს. უკანასკნელად მყინვარწვერის მიმდებარე ტერიტორია 2004 წელს დაასუფთავეს. ყოველწლიურად მყინვარწვერს ათასობით როგორც მოყვარული, ასევე პროფესიონალი მთამსვლელი სტუმრობს. მარტო ბეთლემის ქოხს 3 ათასზე მეტი უცხოელი სტუმრობს.

მყინვარწვერიდან ნარჩენების გატანა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დასუფთავების ყოველთვიური აქციის ფარგლებში განხორციელდა.

ინტერპრესი

ძეგლები ღაღადებენ

„დიდი არქიტექტორის“ ჭკუანაღრძობი შეხედულებები

თურქეთში ქართული ისტორიული ძეგლების აღდგენითი და სარესტავრაციო სამუშაოები გარკვეული პერიოდით, არა თურქული მხარის, არამედ უშუალოდ ჩვენი და კერძოდ იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოისობით, შეფერხდა. საქმე ის არის, ამბობენ სპეციალისტი არქეოლოგები, რომ ეს პერიოდი დაემთხვა საქართველოს ხელისუფლების ცვლას, ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, პრეზიდენტად „მაღალი“ დარჩა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა ახალი მთავრობისათვის ყველა მეთოდით ხელის შეშლას ნებისმიერ სფეროში, მათ შორის, ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებში. კულტურის სამინისტროს მიერ წარდგენილ პროექტებზე პრეზიდენტის რანგში მყოფი მიშა ხელს არ აწერდა. ხან ძეგლების გადახურვა არ მოწონდა, ხან ტაძრების მისადგომი, შემოღობვა და ა. შ.



არადა შეთანხმებით, პროექტსა და სარეკომენდაციო წერილს, აუცილებლად უნდა ჰქონოდა საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერა. თურქებს ეჩქარებოდათ სამუშაოების დაწყება, რადგანაც სახელმწიფო ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სამშენელო ფირმასთან და მისთვის ყოველდღიურად უნდა ეხადა გაცდენილის საფასური. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველ სპეციალისტებთან შეუთანხმებლად სამხრეთელმა მეზობლებმა სარესტავრაციო სამშაოები დაიწყეს. ადგილზე ჩასულ ქართველ ექსპერტებს მასპინძლები მშენებლობას არ აკარებდნენ – დიდ პატივს გცემთ, მაგრამ ჩვენს კანონებს ვერ დავარღვევთ დროში გაწელვითო, – ამბობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე. მისი ვარაუდით იშხანი მომავალი წლის გაზაფხულისთვის უკვე დამთავრებული უნდა იყოს, რის შემდეგაც დაიწყება მუშაობა ოშკზე, თუმცა, ქართველებს საშუალება მიეცემათ, დაათვალიერონ ჩატარებული სამუშაოები, თუ საჭიროა კორექტივებიც შეიტანონ მასში – ამბობს ანთიძე.

ჯერ კიდევ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, საქართველოდან ჩასულ კულტურის სამინისტროს ჯგჯუფს სარესტავრაციო სამუშაოებზე დაშვებაზე უარი უთხრეს. მათს ერთ-ერთ თურქ კოლეგას ირონიულად უთქვამს, ამ საკითხებით თქვენი პრეზიდენტი არ არის დაინტერესებული და ჩვენით უკმაყოფილო რატომ ხართო...

მაგრამ, რაც „დიდმა არქიტექტორმა“ ბაგრატის ტაძარს მოსწია, მტერსაც კი გულს დასწყვეტდა.

ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები 2009 წელს დაიწყო. ყველასთვის გასაკვირად მშენებლობის არქიტექტორად, მშენებლად და ა. შ. ჩვენი „მაღალი“ მოგვევლინა. რომელიც არ ითვალისწინებდა სპეციალისტების, სასულიერო პირების შეფასებებს იმის შესახებ, რომ მიშას ორგანიზებული სამუშაოები ეკლესიის არა აღდგენა-რესტავრაციას, არამედ გადაკეთებას უფრო ჰგავდა, რითაც ისტორიული ძეგლი კარგავდა ძველ ისტორიულ სახეს.

შედეგიც მალე დადგა, ტაძრის მშენებლობა 2013 წელს დასრულდა. ამ დროს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორი ფრანჩესკო ბანდარინი. მან საქართველოს ახალი ხელისუფლების აწ უკვე ყოფილ კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას ოფიციალურად განუცხადა, რომ სარესტავრაციო სამუშაოების დროს არ იყო გათვალისწინებული მათი შენიშვნები და რეკომენდაციები. საერთოდ ტაძრის განახლების პროცესი თავიდანვე არ იყო მათთან შეთანხმებული. სამუშაოების დროს არ დაიცვეს კრიტერიუმები. დაიკარგა ძეგლის აუთენტურობა და თვითმყოფადობა. ამის გამო ბაგრატის ტაძარი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეების ნუსხაში ვეღარ დარჩებოდა. ოფიციალურმა სტუმარმა ოდიშარიას კომპრომისული ფორმის მოძიებაც შესთავაზა. საუბარი ეხება იმას, რომ ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი იუნესკოს კულტურული მონაცემების ერთ ნუსხაშია გაერთიანებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ტაძრის ჩამონათვალიდან ამოღება, ეკლესიის ამოღების საფრთხესაც ქმნის.

გენერალური დირექტორის განმარტებით ჩვენს მხარეს გელათის მონასტრის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვედრის იმედი კიდევ აქვს, ვინაიდან ეს უნიკალური ძეგლი საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. თუმცა, შანსები გადაწურული არც ბაგრატის ტაძარს აქვს, ამბობს ანთიძე და აკონკრეტებს, რომ ამ საკითხებზე მსჯელობა, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტში კიდევ მიმდინარეობს. ჯერ კიდევ ნაადრევია იმის თქმა, როდის და როგორი იქნება შედეგები. ჩვენმა მხარემ გაითვალისწინა ბანდარინის კომპრომისული გეგმა, უწინდელი შეცვალა ახლით, რაც იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტაციაში ბევრი პოზიტიური სიახლე შევიდა. ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ გელათმა იუნესკოს ნუსხაში თავისი ადგილი დაიკაოს, – ამბობს სპეციალისტი და იმედი აქვს, რომ მოვლენები სასიკეთოდ წარიმართება.

კეთილი ფინალის იმედი აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელს, იუნესკოსთან თანამშრომლობის წარმომადგენელს რუსუდან მირზიკაშვილს. იგი ამბობს, რომ ახალი მოთხოვნილების შესაბამისად დოკუმენტაცია უკვე გაგზავნილია, სადაც მათი შესწავლა მიმდინარეობს.

ცნობისათვის, დღეს იუნესკოს მემკვიდრეობის დაცვის კულტურის ძეგლთა ნუსხა არც ისე დიდია. „დიდ არქიტექტორს“ დიდი სურვილი ჰქონდა ამ უკანასკნელის საკუთარი შეხედულებებისამებრ აღდგენა-რესტავრაციისა, შემდეგ ალბათ ზემო სვანეთისკენაც გაუწევდა გული, მაგრამ არ დასცალდა. დარჩენილი ორი ძეგლი, მის მსახვრალ ხელს საბედნიეროდ გადაურჩა.

ზაზა ბილიხოძე

იუბილე

სიცოცხლის სადარაჯოზე

90

ქ. თბილისის სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტს დაარსებიდან 90 წელი შეუსრულდა

ინსტიტუტს, რომელიც 1924 წელს სპ. ვირსალაძის მიერ დაარსდა, წლების მანძილზე არაერთი მეცნიერი თუ გამოჩენილი ადამიანი ხელმძღვანელობდა (გიორგი მარუაშვილი, გიულენ ჭუბაბრია, თემურ ჩირგაძე), რომელთა საქმიანობას ღირსეულად აგრძელებს ინსტიტუტის დღევანდელი დირექტორი, ქალბატონი ირმა კოკაია.

აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ეს ისტორიული შენობა თავისი პროფილით უმნიშვნელოვანესია მთელს საქართველოში.

ამ კოპწია შენობის კედლებში გამეფებულ მუდამ უზადო წესრიგსა და სისუფთავეს ჰარმონიულად ერწყმის აქ მომსახურე მაღალკვალიფიციურ ექიმთა მაღალი პროფესიონალიზმი და გულისხმიერება, ასევე მედდების, სანიტრებისა თუ ტექნიკურ მუშაკთა კეთილშობილება და მაღალი დისციპლინა.

კვლავ ჩვეული სითბოთი ღებულობს პაციენტებს ასევე იუბილარი, 90 წლის ღვაწლმოსილი პროფესორი აკადემიკოსი ბატონი ოთარ ზენაიშვილი, რომლის მოღვაწეობაც ლამაზ ქვაკუთხედად უდევს ამ ძირძველი ინსტიტუტის სახელსა და ღირსებას.

ვულოცავთ ქალბატონ ირმას, ბატონ ოთარსა და ინსტიტუტის ყოველ თანამშრომელს ამ ლამაზ იუბილეს. ვუსურვებთ დღეგრძელობასა და ურყევ ჯანმრთელობას.

სხვათა სიცოცხლის სადარაჯოზე მდგომებს, კვლავაც დიდხანს არ მოგკლებოდეთ მადლიერ პაციენტთა მადლიანი მზერა, უფლის მადლი და შემწეობა.

თავადაც უდიდესი მადლიერებითა და პატივისცემით
ნელი იმედაშვილი,
ვანიკო შაიშმელაშვილი.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ცინცხალი ანეკდოტები

ცოლი მთვრალი დაბრუნდა სახლში. აქაოდა, ქმარმა არ შემამჩნიოსო, სწრაფად ხსნის ნოუთბუკს და მომღიმარი სახით მიუჯდება მას.

– **დაშა, დახურე ეს დიპლომატი და დაწექი!** – ეუბნება ქმარი.

* * *

– **გუშინ** ჩემს ქმარს ფაქტზე წავასწარი!

– **რას** მეუბნები?

– **ჰო, წარმოგიდგენია? ჩემი კატით თავის ნოუთბუქს მტვერს აცლიდა!**

* * *

პარასკევს ფიქრობ, რომ შეგიძლია მოდუნება – **ხვალ ხომ შაბათია!**

შაბათს დილას გგონია, რომ შეგიძლია ნებივრობის გაგრძელება, კვირას კი არც ერთ წვეთს არ ჩაუშვებ პირში!

სინამდვილეში კი მხოლოდ ორშაბათს გელვიძება...

* * *

– **რამდენიც** არ უნდა გვდიოთ, მაინც ვერ დაგვეწევით! – გამრჯვებული სახით გასძახიან ფასები ჩვენს ხელფასებს.

* * *

სახლში მოულოდნელად დაბრუნებული ტიპი ხედას, მისი ცოლი მისივე მეგობართან ნებივრობს საწოლში, ამოიღებს პისტოლეტს და მოკლავს თავის მეგობარს.

– **რას** შვრები შე უტვინო! ასე ხომ საერთოდ უმეგობროდ დარჩები!!! – უკივის ცოლი.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24